# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., ... კანცელარიული—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

**ფასი გაზეთისა:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**



ხუთშაბათს, 29 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 2 საათზედ, დიდუბის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქმნება საფლავზედ ორმოცის პანაშვიდი განსვენებულის გენერალ-მაიორის ქვრივის

**ქნეინა მანანა ზაალის ასულის**

# რაჭინსკილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმის-წული თ-დი დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი დეპიტურთ. (1—347—)



## სასცენო სტუდია
# ს. ნ. ვორონოვის
## ხელმძღვანელობით.
## მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე

**ასწავლიან შემდეგ საგნებს:**

**ბაუერ-ზაქსი**—პლასტიკას.
**ვორონოვი**—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.
**ელპის-ზარაფიდი**—გიმნასტიკას.
**პეტროკოვსკი-გრიმსა ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.
**რატოვი**—მიმოდრამას.
**რობაქიძე**—ესთეთიკას.
**ახმეტელი**—თეატრის ისტორიას.

**მეცადინეობა უკვე დაიწყო.** მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიანთ ყოველ-დღე 12—1 საათზე დილისით და საღამოთი $3^1/_2$—$4^1/_2$ ს., **ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა.** (თ.—254—6)



## აკაკის სახელობის ქართული
# საბავშვო ბაღი
## ან. ბედევანიშვილისა.

მიიღება ბავშვები სამიდან შვიდ წლამდე. სწავლა იწყება 1 ოქტომბერს.

ჩაწერა შეიძლება სითავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიის შენობაში, დილის ათიდან პირველ საათამდე. (თ—258—1)



## ექიმი
# ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣлъ), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
**შეშხაპუნება**



**ექიმი-დოსტაქარი**
# გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.



**ექიმი**
# მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)



**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
# კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.



**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
**ექიმი**
# ა. დ. შაჰპაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.



**გოლოვინის პრ. და ხამბეგაშვ ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
# ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**



**დ. ზესტაფონში**
# ექიმი
# დ. კ. მაჭავარიანი
**იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე**



**მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს**
## სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24. (თ. 343—5)


## ბათომის ხელის-მომწერთ საყურადღებოთ.

გაზ. „საქართვ.“-ს კანტორა უმორჩილესად სთხოვს ბათომის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული შეიტანონ წიგ. მაღაზია „განთიადში“.





„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.

**სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი**

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—9) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური



**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**
# კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.**
**ფასები უველასათვის ხელმისაწვდომია**

**ყოველ დღე მზადდება**

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

**ადგილობრივი და უცხოური ხამეები, კარაჭზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.**

პატივისცემით **სიდ. ს. გიგიბერია.**



## სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო



## ღვინის საწყობი
# ნიკო გ. სესიაშვილისა
**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**
# კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. —
(185—7.)


## ქუთაისის განწმენდისათვის

ქუთაისის მაგალითზე მეტად აშკარად დამტკიცდა ჩვენი საზოგადოების უძლურება. ქუთაისის მოქალაქე, თუ იგი ოდნავ შეძლებულია, გამუდმებული ტერორის ქვეშ იმყოფება. არ იცის, რომელ შესახვევში მოელის ავაზაკთა გუნდი, ან როგორ გადაურჩება მას. არ იცის, სიცოცხლეს შეიწირავენ მისას თუ იმ ავლა-დიდებას, რისთვისაც მას მთელი თვისი ძალა-ენერგია და მოყაითობა შეულევია. ვისაც შეუძლიან, ანაღდებს თავის ქონებას და უცხო მხარეს მიეშურება. წარსულში ამის მაგალითი რამოდენიმე იყო კიდეც. დღეს ბევრი აპირობს იქაურობა დასტოვოს და სხვაგან გადასახლდეს. ადამიანს თვის სამშობლო ქალაქში ვერ უცხოვრია, თვისი ნიჭი და საალებ-მიცემო თუ სამეურნეო საქმიანობა ვერ გაუშლია. ზარალობს კერძო პირი, ვისთვისაც შოვნისა და მოქმედების შნო და უნარი ღმერთს მიუნიჭებია. ზარალობს მთელი მხარე, ვინც ასეთ მომქმედ პიროვნებას ჰკარგავს. შეუძლებელი ხდება სიმდიდრის გაზრდა და დაგროვება, ან რამე დიდი საქმის დაწყება. რამოდენიმე უქმად მოხეტიალე ვაჟბატონი და ტყეში გაჭრილი ორიოდე ავაზაკი ძირს უთხრის საზოგადოების ეკონომიურ კეთილდღეობას და ქუთაისის სამოცი ათასი მცხოვრები კი ამ დროს არის თავისთვის, გატრუნული. რამდენად უნდა იყოს ეს ამოდენა ხალხი მოკლებული თავდაცვის ინსტინკტს, რამდენად უნდა იყოს ფსიხოლოგიურად შეწყობილი ამ მტაცებლობის მოვლენებთან, რამდენად უნდა იყოს მოკლებული დღევანდელი ეკონომიური საქმიანობის საფუძვლის სიყვარულს, რომ ერთი მუჭა ავაზაკის წინაშე შიშით ძრწოდეს და თავისი თავი ყოვლად უმწეოდ მიაჩნდეს!!

საზოგადოების ასეთი უილაჯობა ამხნევებს და გაბედულობას ჰმატებს ავაზაკებს, რომელთა თარეში და ბატონობა წარმოუდგენელ ცინიზმამდე აღწევს. ავაზაკურად წართმეული ფული მეორე მესამე დღეს ისევ ქუთაისის კლუბ-რესტორანებში იფლანგება. ყველამ იცის თუ ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები, რომელთაც არავითარი შემოსავალი არ აბადიათ, რომელთაც არავითარი საქმე არ გააჩნიათ, მაგრამ ამისდა მიუხედავათ რომ ვახშამში თუმნობით იხდიან, ან ქალალდის თამაშში ასობით აგებენ! შემზარავია ამ უქნარი და მავნე ხალხის ასეთი შეხიზნება და შეწყნარება. შემზარავია ეს საზოგადოებრივი ჰუჰყიანობა. ყოველი კეთილშობილი მოქალაქის და ნამდვილი მამულიშვილის მოვალეობა უნდა იყოს ასეთი პირებისაგან საზოგადოების განთავისუფლება. ჩვენ გვაკვირვებს ამ შემთხვევაში ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის უმოქმედობა. მოქალაქეთა და მოვაჭრე-მრეწველთა ინტერესის დაცვა ვის მართებს, თუ არ თვით ქალაქის თვითმართველობას.

მისი სიჩუმე და უმოქმედობა ახალისებს ავაზაკებს, რომელთა ბოროტმოქმედება ქუთაისს საუკეთესო წევრებს აცლის. დროა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ თაოსნობა გამოიჩინოს და თავის მოქალაქეთა დაცვისთვის იზრუნოს. ქალაქის თვითმართველობამ უნდა შექმნას მტკიცე და სერიოზული ორგანიზაცია თავდაცვის მილიციის სახით; უნდა გასწიოს სიტყვიერი და წერილობითი პროპაგანდა და უნდა მოაწყოს ფარული კენჭისყრა იმ პირთა დასასახელებლად, რომელნიც ცნობილნი არიან თავიანთ უქნარობით, ხეტიალით და რომელნიც ეჭვებს სძრავენ ყოველ პატიოსან მოქალაქეში; საზოგადო განაჩენით ქალაქმა უნდა მოითხოვოს ამ ვაჟბატონთა გადაკარგვა შორეულს ციმბირში. ერთი სიტყვით, ქალაქმა სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მის კეთილდღეობის დაუძინებელ მტრებს. საჭიროა თაოსნობა, თორემ ამ საქმითვის არავინ დაიზარებს არც ფულს და არც ენერგიას. ამგვარი ხასიათის მოქმედება დიდ მორალურ სიმტკიცეს შემატებს მათ, ვინც ეკონომიურს საქმიანობაშია ჩაბმული და ქვეყნის ნივთიერ აღორძინებას ჰქმნის. რადაც უნდა დაუჯდეს, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ უნდა დაშალოს ავაზაკთა ბუდე და ქალაქი გასწმინდოს ამ მავნე პირებისაგან.

**გ. ვაშაძე**

## საუღელტეხილო გზა

საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია რომ მჭიდროდ გარდაებჭდოს რუსეთს სტრატეგიულად, ეკონომიურად და საზოგადოდ პოლიტიკურად,— ამისათვის აუცილებელია კავკასიის ქედზე რკინის გზის გაყვანა... ბაქოს მაგისტრალი, როგორც დაამტკიცა მიმდინარე ომმა, მეტის-მეტი გრძელია და შორი, რუსეთის ქალაქებიდან თბილისში მოსასვლელად; ბაქო-თბილისის რკინის გზა ვერ უძლებს რუსის ჯარის ფართო ოპერაციებისათვის საჭირო სამხედრო მასალის და სურსათის გადატან-გადმოტანას და ამით კრიზისს იწვევს მთელი მხარის ცხოვრებაში. ამიტომაც მეფის ნაცვლის ბრძანებით საჩქაროდ დაიწყო სამზადისი საუღელტეხილო გზის გაყვანისათვის; გროვა ინჟენერებისა მისეულია ამ ჟამად ამ გზის ლიანდაგის ხელსაყრელ მიმართულების გამოსაკვლევად; კონცესია აღებული აქვს ინჟ. კუჩინსკის, მაგრამ მასში მონაწილეობენ აგრეთვე სხვა დაწესებულებანი და პირები, მაგალითად კავკაველები, ჩვენი ცნობილ თანამემამულე თ-დ ი. მ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით...

საუღელტეხილო გზა გაჰყავთ იმ პროექტით, რომელიც ეკუთვნის თვით კონცესიონერს, ინჟენერს, ახლა გენერალს კუჩინსკის; გზა გაივლის ქვენამთის უღელტეხილით და პირდაპირ შეაერთებს კავკავს თბილისთან; მუშაობა უნდა დასრულდეს 1917—1922 წლამდის. საუღელტეხილო გზა ელექტრონული იქნება, და ამიტომ არ მოითხოვს დიდ ტონელების გაყვანას. (უწინდელი პროექტი ინჟ. ვურცელის მიერ შედგენილი გულისხმობდა 23 ვერსიან „არხოტის“ გვირაბს, რაც 120 მილიონ მან. ხარჯს და 15 წლის მუშაობას მოითხოვდა გზის დასრულებისათვის). კუჩინსკის პროექტით ლიანდაგი გაჰყვება საქართველოს სამხედრო გზას, თერგის და არაგვის გასწვრივ, საიდანაც ამოიღებენ საჭირო ელექტრონის ძალას... ამგვარად ახლანდელმა რუსეთ-ოსმალეთის ომიანობამ შესხა ხორცი იმ იდეას, რომელიც ჯერ კიდევ 1856 წელში დაებადა მეფის ნაცვალს.

რუსეთის იმპერიალიზმის მოსარჩლე მიხეილ მენშიკოვი საგანგებო წერილს უძღვნის „ნოვოე ვრემიაში“ ამ ფაქტს და ასე ახასიათებს მის პოლიტიკურ-საერთაშორისო მნიშვნელობას:—„საუღელტეხილო გზა, აუცილებლად საჭიროა რუსეთისათვის ახლანდელი ომის ნაყოფის განსამტკიცებლად. უეჭველია ჩვენი მდგომარეობა წინა აზიაში, ზავის შემდეგ არსებითად შეიცვლება; შემოვიერთებთ ბევრ ახალ ადგილს, იქნებ მთელი მცირე აზიაც მოჰყვება რუსეთის სტრატეგიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა ფარგალში. საჭირო გახდება, როგორც ძველი ამიერ-კავკასიის, აგრეთვე ახლად შეძენილ განაპირა ქვეყნის უმჭიდროესი შეერთება იმპერიასთან; მაგრამ, საუღელტეხილო გზას მსოფლიო მნიშვნელობაც ექნება: იგი შეუერთდება ბაღდადის რკინის გზას, რომელიც დასავლეთ ევროპას აკავშირებს ინდოეთთან; გარდა ურიცხვ საქონლის გაზიდვისა, საუღელტეხილო გზით ივლიან მექაში სალოცავად მიმავალი რუსეთის მაჰმადიანნი და პალესტინის მართლმადიდებელი მლოცველები.

საუღელტეხილო გზის ერთ-ერთი ტოტის ბოლო იქნება სტამბოლის შესადარი ნავთსადგური ალექსანდრეტა, რომელიც გასავალს გვაძლევს, როგორც ევროპაშიც, ისე ახალ გაზრდილ კულტუროსან აფრიკაში... თუ რა საინტერესოა ალექსანდრეტა რუსეთისათვის, ამას საკმაოდ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ალექსანდრეტა ასი ვერსით უფრო ახლოა ვოლგაზედ (ცარიციანზე) ვიდრე ლიბავა (!)... მაგრამ რუსეთის წინ ხომ სხვა პერსპექტივებიც იშლება: სალცარი შუამდინარის ხეობა, სპარსეთის ყურე, თვით სპარსეთი და ინდოეთიო!..

ყველა ამ „პერსპექტივების“ იმპერიალიზაციის ტვირთს ბ-ნი მენშიკოვი აკისრებს კავკასიის საუღელტეხილო გზას.

მართალია ამ „პერსპექტივების“ მეტი ნაწილი ჯერ კიდევ არ „დაუნახია“ რუსეთს, და ალექსანდრეტა ჯერჯერობით არსებითად არც ერთი ვერსით არ არის ლიბავაზედ უფრო ახლო,—მაგრამ თავის-თავად ყურადღების ღირსია ის იმედები, რომელიც ასულდგმულებს რუსეთის იმპერიალისტებს სასაუღელტეხილო გზის გაყვანის დროს. ჩვენ კი კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველიფერი, რასაც მენშიკოვი მოელის საუღელტეხილო გზისგან ომის დასრულების შემდეგ, ახლო ეხება ქართველი ერის ინტერესებსაც... ამის მიზეზია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა... უცხო აზიურ ქვეყანათა იმპერიალიზაცია (თუ რასაკვირველია ისინი რუსეთს არგუნეს) შეუძლებელია ადგილობრივ, აზიურ საზოგადოებრივ და საეკონომიო პირობათა მცოდნე ხალხის დაუხმარებლად; სომხებმა მთელ ევროპას გამოუჭედეს ყური—მარტო ჩვენ ძალგვიძს მცირე აზიაში კაპიტალიზმის დამყნობაო. ახლანდელმა ომმა საკმაოდ გამოაჩინა მათი გაზვიადებული პრეტენზიების სიმართლე: სომხებს კი არა, ქართველებს შეაქვთ კაპიტალისტური კულტურა სპარსეთში; სომხები კი არა, ქართველები აღმოჩნდნენ საომარ მოქმედებასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმეთა საუკეთესო მომგვარებლად როგორც ოსმალეთის საქართველოში, ისე თვით სომხეთში; როგორც ტრაპიზონში, ისე აზრუმში.

საუღელტეხილო გზამ უფრო უნდა გაადვილოს ქართული კაპიტალის და შრომის ასპარეზი და მეტი გასაქანი მისცეს საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობას. მით უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართველის ხელი ამ თავითვე მონაწილეობს საუღელტეხილო გზის კონცესიაში.

**ახალი.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ბუქარესტიდან ოფიციალ ცნობით იტყობინებიან: გიმბავულეში, ბრაშივის დასავლეთით, მტრის იერიშებს ვიგერიებთ, ხოლო განმეორებულ იერიშების შემდეგ იძულებული გავხდით კარპატების ჩრდილო ხეობებისკენ დაგვეხია". მარტო ეს ერთი ამბავი არ არის მოსული ბუქარესტიდამ: დობრუჯა-კაიმენი, ჟიუ და მრავალი სხვა, აი ის ადგილები, სადაც ამ ჟამად ცენტრალ სახელმწიფოთა ჯარებს მიაქვთ შეუწყვეტელი იერიშები და მძიმე არტილერიას არ აჩერებენ. ყოველ მხრითა სჩანს, რომ რუმინეთი მორიგ საკითხად გაიხადეს გერმანელებმა. აქ პირველად მოიხმარეს საგანგებო ყუმბარები, რომელიც დღემდე არ გამოუჩენიათ გერმანელთ. ჰაეროპლანებიდან ნასროლი ყუმბარა დიდის ძალით მიწის პირს იშლება და მრავალ ნატეხებს ჰფანტავს ირგვლივ, რაიც დიდს ზარალს აყენებსო. ესეც ერთგვარი საშუალებაა გერმანულ ტაქტიკისა ხალხში ზარის შესაქმნელად. „ზარი!" აი დევიზი გერმანელთა ომის დაწყობიდანვე და ამ აზრს ყოველთვის ახორციელებენ, სადაც კი შესაძლებელია. და აი, ამ ჟამად ასეთის „ზარის" შესაქმნელად გერმანელები განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ რუმინელთ. ჩვენ კიდევ შორსა ვართ სინამდვილის დასანახავად, ეს იმ სინამდვილისა, რომელიც, უეჭველია, განადგურებულ სერბეთისას გვაგონებს რაოდენადმე.

ალმოსავლეთ ფრონტზე ბრუსილოვს ოფიციალ დეპეშის მოხსენების თანახმად, კიდევ გაურღვევია ფრონტი ავსტრო გერმანელებისა. რამდენად სახარბიელოა ეს ფრონტის გარღვევა, რამდენად აღწევს გენერალი ბრუსილოვი ტაქტიკურს წარმატებას, ამას შემდეგი დაგვანახვებს. დღეს დღეობით კი შეგვიძლიან რუსი სამხედრო ავტორიტეტები დავამოწმოთ, რომელნიც აი, სხვათა შორის, რას ამბობენ: „ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ნაადრევია გარდამეტებულს ოპტიმიზმს მივეცეთ, ვინაიდან ჯერ ჩვენ არ ვიცით, რაოდენად მძლავრია ეს გარღვევა, სახელდობრ რომელს პუნქტებში. ამის გარდა, როგორც ვიცით, გერმანელებმა მთელს ჩვენს მხარეზე ძლიერესი ზღუდეები ააგეს, რომელთა წყალობით თუნდაც კერძო ფრონტის გარღვევა დიადს შედეგს არ მოგვახწევინებს, პირიქით, იგი ფრიად საშიში იქნება გამრღვევლთათვის, ვინაიდან მუდამ ფრთის ცეცხლს ქვეშ იქნება, მის განმანადგურებელ ზარბაზანთა ზარს ვერ ასცდება". ამნაირად, გულწრფელი აღსარება სამხედრო მიმომხილველებისა ისეთ ოპტიმისტური და ალფრთოვანებული არ არის, როგორც ეს იყო ბრუსილოვის გალაშქრების პირველს პერიოდებში. რა მიმართულებით არის ეს ერთგვარი „საშიში" წარმატება, ჩვენ არ ვიცით, ლვოვი აქვთ შემდეგ ლაშქრობის ობიექტად, ვლადიმირ-ვოლინის მიმართულება, თუ კოველი, ეს სულ ერთია, საქმე ის არის, რომ ფაქტი ასეთის გარღვევისა, ფრთხილ მიმომხილველთა შორის არ იწვევს ენტუზიაზმს, სკეპტიციზმს უფრო მეტი ადგილი დაუთმეს. ეჭვი, ერთგვარი დარგია სიბრძნის სფეროში კარის შესაღებად. ამას დაურთეთ თვით მტრის ზოგიერთა ორიენტაცია. ეს უკანასკნელი საზამთრო კამპანიააო. არ ვიცით, ვისთვის როგორი კამპანია. ეს კია, რომ, მიუხედავად ასეთის ოპტიმიზმისა და პესსიმიზმისა, გენერალი ბრუსილოვი თავის საქმეს აკეთებს და მაინც წინ მიდის. ნუ დავივიწყებთ, რომ მის ლაშქრობის პირველს პერიოდში ზოგიერთა მიმომხილველი დღევანდელივით პესსიმისტურის კილოთი სწერდა, მაგრამ ბრუსილოვმა გაამართლა დანიშნულება და ქვეყნიერებას სულ სხვა რამ დაანახვა ვინ იცის, იქნებ დღესაც ანალოგიურს შემთხვევასთან გვქონდეს საქმე.

ზღვაზე გერმანელებმა ისევ წყალქვეშანი აამოქმედეს. სამგზავრო გემი „გალლია", რომელსაც ორი ათასი ფრანგი და სერბიელი გადაჰყავდა სალონიკისკენ, წყალქვეშამ დაღუპა. საბედნიეროდ 1,362 კაცი გადაარჩინეს.

დასავლეთ ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. თუ გერმანელები ადგილ-ადგილ იბრუნებენ დაკარგულს თხრილებს, ადგილ-ადგილ მოკავშირენი წინ იწევენ და მკვიდრდებიან...

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**27 ენკენისთვე**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, ზატურცი-შელვოვ-ბუბნოვის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა. ადგილ-ადგილ ჩვენმა ჯარმა მტრის ხაზი გაარღვია და გამაგრდა. ბრზეჟანის აღმოსავლეთით, შიბა ლიპის სამხრეთ მიდამოებში მტერმა შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიერთ. აქ ხიშტებით ცხარე შებრძოლების შემდეგ ავიღეთ ავსტრიელების ერთი მოწინავე თხრილი. 21 ენკენისთვეს მდინ. ბისტრიცო ზოლოტვინაზე, სოფ. დევნიჩის მიდამოში, ჩვენი ერთი პოლკის მზვერავები მავთულების ხლართით გაუმაგრებელ ადგილზე მტრის სანგრებში შეიჭრნენ, იმედი ჰქონდათ მტერს მოულოდნელად თავს წაადგებოდნენ. მაგრამ მტრის მრავალრიცხოვანი რაზმი გარს შემოერტყა და 8 მზვერავი პორუჩიკ ვოლოსატოვის უფროსობით ტყვედ წაყვანა მოუნდომეს. მაშველმა ჯარმა მტრის რკალი ვერ გაარღვია. მზვერავები ცოცხალის თავით არ დაჰნებდნენ მტერს. უთანასწორო ბრძოლაში მოჰკლეს პორუჩ. ვოლოსოვი და 7 მზვერავი.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენი მზვერავი რაზმები ოგნოტსა და შამირიანთან მარჯვედ მოქმედებენ.

დობრუჯაში ჩვენი ჯარი ახლად დაჭერილ ადგილებზე გამაგრდნენ.

შავ ზღვაზე 23 ენკენისთვეს ჩვენმა ნაღმოსნებმა სამუნსა და სინოპს მიუხტნენ, 58 იალქნიანი გემი დაუღუპეს და ნავთსადგურს ზარბაზნები დაუშინეს. 40 კაცი დაატყვევეს. ერთი ფოლად გადაკრული ნავი სევასტოპოლში მიიტანეს.

**26 ენკენისთვე.**

**პარიზი.** მთაწმინდის მეფე ეხლა მდ. სინაზე მდებარე პილეში იმყოფება. მთაწმინდის მთავრობაც მალე აქ გადმოვა.

**27 ენკენისთვე.**

**ლონდონი.** საფრანგეთში მოქმედ ინგლისის მთავარსარდლის ცნობა. 24 ენკენისთვეს ღამე მტერმა ლაბეს სამხრეთით შემოგვიტია და წინად წართმეული სანგრების ნაწილი დაიბრუნა. ლაბასი ეხლა მთლად ჩვენს ხელშია. 500 ტყვე წამოვიყვანეთ.

სოლუნის ოფ. ცნობა. გუშინ, ცხარე ბრძოლის შემდეგ, პოყარევალის ჩრდილოეთით, სერბიელებმა ბულგარები დაამრეს და მათი ადგილი დაიჭირეს. ბრძოლა გრძელდება. ღამე სერბიელები დამკვიდრდნენ დობროჟელიჩაზე, რომელიც ბულგარელებს გამაგრებული ჰქონდათ.

**პარიზი.** მახლობელი აღმოსავლეთი. მდ. ჩერნის მოსახვევიდან პრესპას ტბამდე ბრძოლა გრძელდება. სერბიელებმა აიღეს დობროპოლის მწვერვალი, ფრანგებმა ბებას მთეში აიღეს ვიზოვო.

**ლონდონი.** კურსელეტ-ბარლენკურის გზის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლა იყო. აქ ორ დღეში დავატყვევეთ 12 ოფიცერი და 866 მეომარი. გუშინ, უამინდობის მიუხედავად, ჩვენი მფრინავები მარჯვედ აწარმოებდნენ ზვერვას. ერთი საფრენი დაგვაკლდა.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. კალიმანის გურგიუს და გარგილის მთებში 25 ენკენისთვეს მზვერავ რაზმების შეჯახებაა. ბრაშევის დასავლეთით, გიმბავულესთან, მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. ალიუტის ველის ხეობებში ზარბაზნების სროლაა.

სამხრეთის ასპარეზი. დუნაის დასწვრივ და დობრუჯაში ზარბაზნებით ბრძოლაა.

**პარიზი.** ოფიციალი ცნობა. სომას სამხრეთ კიდეზე ზარბაზნების სროლაა. რუას მიდამოებში გერმანელებმა მედგარი სროლა აუტეხს ფრანგებს სანგრებს კანი-სიურ-მატცთან. ფრანგებიც უპასუხებდნენ.

**ბუქარესტი.** რუმინელთა ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის ასპარეზზე, კალიმასეტისა და სენტ-გეორგის შუა, მზვერავთა შეჯახება იყო. ბროშევო-კრონშტატის მიდამოებში ჩვენ იძულებული გავხდით კარპატების ჩრდილოეთ ხეობისაკენ დაგვეხია. კაიმენის და ჩჟიუს ხეობებში მარჯვეთ ვიბრძოდით ზარბაზნებითა და ქვეითა ჯარით.

სამხრეთის ასპარეზზე, ზიმნიცის აღმოსავლეთით ზარბაზნების სროლაა. დობრუჯაში ზარბაზნებით ბრძოლა და მზვერავთა შეჯახებაა.

**ნიუ-იორკი.** წყალქვეშა ნავი „უ 35" ვილჰელმსჰაფენიდან როტეილანდზე მდებარე ნიუპორტში მივიდა, 25 ენკენისთვეს, 17 დღის ცურვის შემდეგ. ამბობენ, წყალქვეშამ გერმანეთის დიპანს დეპეშები მიუტანა 2 ს. შემდეგ წყალქვეშა ნიუპორტიდან გავიდა; მისი გეზი არავინ იცის. წყალქვეშა შეიარაღებულია ორი ზარბაზნით და ნაღმების სასროლ 8 მანქანით. ზედვე აქვთ რადიოტელეგრაფიც.

**ვაშინგტონი.** ინგლისის დესპანმა სახელმწიფო დეპარტამენტში უკმაყოფილება განაცხადა, გერმანეთის წყალქვეშა ამერიკის ნავთსადგურში რად შემოუშვითო.

**პეტროგრადი.** 25 ენკენისთვეს დილით ფინეთის რკინის გზით საბერძნეთისაკენ გაემგზავრა საბერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოზი.

**პარიზი.** სამგზავრო გემი „გალლია", რომელსაც 2000 ფრანგი და სერბიელი ჯარის კაცი მიჰყავდა, 21 ენკენისთვეს წყალქვეშამ დაღუპა. თითქმის 1362 გადაარჩინეს.

„გალლია" დამხმარე კრეისერი იყო, ჯარის გადასაყვანად მოწყობილი. ნაღმი ყუმბარების საწყობს მოხვედროდა და უმავთულო ტელეგრაფიც დაიწვა. გემი მთელ ქვეყნიერობისაგან მოწყვეტილი იყო. ტივზე გადარჩენილი მგზავრები საფრანგეთის კრეისერმა შეამჩნია 22 ენკენისთვეს, მაშველი გემი დაიბარა და გადარჩენილები სარდინიის სამხრეთ ნაპირზე გადასხა.

**ნიუ-იორკი.** ინგლისის გემი „სტრატდენი", რომელიც ნიუ-იორკიდან ბორდოს მიემართებოდა, დაღუპეს. ზედმყოფთაგან 20 გადაარჩინა გემმა „ნანტუკენსმა". ნიუპორტიდან ამერიკის ნაღმოსნები მისაშველებლად გაეშურნენ.

**ლონდონი.** ინგლისის სანავთსადგურო სამმართველომ გემ „ზესტპუანი"-საგან უმავთულო ტელეგრაფით ცნობა მიიღო: წყალქვეშა დაგვეცა. გემზე მყოფნი ნავებში ჩავსხით. წყალქვეშას თავდასხმა თვითონ ინგლის-ამერიკის შუა ოკეანის სანაოსნო გზაზე მოხდა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

რუსეთის ასპარეზზე ბრძოლა დღითიდღე ფართოვდება და ძლიერდება. ვლადიმირ-ვოლინის მიდამოებში ბრძოლაა სოფ. ზატურცი—ვოლიასადუსკაია-შელვოვის ხაზზე. აქ ბრძოლამ ცხარე და მედგარი ხასიათი მიიღო. მტერი თავგანწირვით იბრძვის. ბრძოლა სამ თვალსაჩინო ხაზზე სწარმოებს: გალიჩისა მდ. ნარიუკაზე, ლვოვისა—ბროდი-კრასნეზე და ვლადიმირ-ვოლინისა — პატრუცი-ვოლიასადოუსკაია, შელვოვის მიდამოში. ეს არის შემოკლებული ბრძოლის ხაზი ბალტიის ზღვიდან მოკიდებული გალიჩამდე. წინანდელი ხაზი კი ბალტიის ზღვიდან რუმინეთის საზღვრებს ებჯინებოდა. აქ ჰინდენბურგი დიდის თავგანწირვით აბრძოლებს ჯარს, რათა ამ მიდამოებიდან სხვა ასპარეზზე ჯარის გადაყვანა მისთვის მაინც შედეგი არ მოიტანოს. ამითივე აიხსნება ის გარემოებაც, რომ ჰინდენბურგმა გალიჩის ასპარეზზე ავსტრიელების ნაცვლად გერმანელები და ოსმალები ჩააყენა. გალიჩის ხელიდან წასვლა, ლვოვისაკენ გზის გახსნას უდრის, ლვოვს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ვლადიმირ-ვოლინისა და კოველის ხაზისათვის. რაკი ჰინდენბურგმა იკისრა გერმანეთისთვის ხელმძღვანელობა და ბრძოლის ხაზიც შემოკლა, იგი ეცდება ყველას დაუმტკიცოს, რომ არც ერთ მტკაველ მიწას არავის დაუთმობს. (ბ. ვ.)

**რუმინეთში.**

დობრუჯაში დიდი გადამწყვეტი ბრძოლა მზადდება. აქ გერმანელებს, ბულგარელებს და ოსმალებს სამასიათასზე მეტი ჯარი ჰყავთ თავ მოყრილი 65 ვერსის მანძილზე. ასეთი მჭიდროდ შეჯგუფებული ჯარი ასეთ ვიწრო ასპარეზზე გერმანელებს ჰყავდათ ვერდენთან და სომასთან. ეს გარემოებაც ნათელჰყოფს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოპირდაპირე ამ ასპარეზს. მთავრობის ცნობით ეხლა რუსებისა და რუმინების ჯარი აწვება მტერს რასოვა-კოპატინ-პერველის ხაზზე. სჩანს, ბულგარელების მარჯვენა ფრთა რასოვთანაა, ხიდის ყურის სიმაგრე ჩერონვოდიდან 12 ვერსის მოშორებით ბულგარელების ბრძოლის ხაზის შუაგული კოპადინთან არის გაჭიმული, ჩერნოვოდ-კონსტანცის გამაგრებულ ხაზიდან 20 ვერსის მოშორებით; ხოლო მათი მარჯვენა ფრთა შავ ზღვის სანაპიროებს ებჯინება, კონსტანციდან ოცი ვერსის მოშორებით.

როგორც ვხედავთ ბულგარელების მარცხენა ფრთა დუნაისთან ფეხ მოკიდებულია, რადგანაც ბრძოლა იქ ისევ რასოვთან სწარმოებს. ჯარის შუაგული და მარჯვენა ფრთა კი 5 ვერსით უკანდაუწევიათ მოკავშირეებს. ცხადია, მაკენზენს აუღია მხოლოდ ტურტუკაი, სილისტრიის ოლქი დუნაის დასწვრივ, ბალჩიკი, კავარნე, და მანგალია შავიზღვის სანაპირომდე და დობრუჯის შუაგული ადგილები, საერთო რიცხვით მთელი დობრუჯის ერთი მესამედი.

ეტყობა, რომ სწორედ ამ დაპყრობილ ადგილის, დუნაისა და შავი-ზღვის შუა, იმედი აქვს მაკენზენს, რომელსაც ზურგს უმაგრებს აგრეთვე ბულგარეთის გამაგრებული ხაზი რუშჩუკ-შუმლაგამდე.

ამ მიდამოების დიდი მნიშვნელობა ყოველ ეჭვს გარეშეა, რადგანაც აქედან არის უმთავრესი სამოქმედო გზები ბულგარეთისა და სრუტეებისაკენ. ამ ადგილებში, შუმსკის აზრით, უნდა ველოდეთ მეტად დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულსა და პოლიტიკურ ამბებს.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

როგორც ვიცით, ფრანგებმა დაიბრუნეს გამაგრებული სოფელი კომბლი და მისი მიდამოები სომაზე. აქ მათ ერთბაშად აიღეს გერმანელების ორი წყება გამაგრებულ ადგილებისა. რამდენიმე კვირის შემდეგ აიღეს მესამე წყება. მაგრამ ამ ხაზის აღება უფრო გაუძნელდათ ფრანგებს, რადგანაც გერმანელებს ათი დივიზია მიეშველებინათ. ბოლოს აიღეს მეოთხე ხაზი, რომელშიაც შედის კომბლი, ტიენვალი, ფრეჟიკური, ლამეფი და მორვალი. ამის შემდეგ ბრძოლა მიწყნარდა, ე. ი. პოზიციური ბრძოლა დაიწყო. ცხადია გერმანელებს მეოთხე ხაზის უკან აქვთ მეხუთე, მეექვსე და კიდევ სხვა გამაგრებული ხაზები.

შესაძლებელია თუ არა გერმანელების ბრძოლის ხაზის გარღვევა ისე, რომ მტერს გამაგრებულ ადგილების უკან აღარ გააჩნდეს ახალი საფარი და მისი საბოლოო დამარცხება შესაძლებელი იყოს? ასეთი კითხვის პასუხად „ბ. ვ."-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ერთი ფრანგი სამხედრო მიმომხილველი ამ წლის დასაწყისში სწერდა: ასეთი გამაგრებული ბრძოლის ხაზის სრულ[illegible] გარღვევა შესაძლებელია [illegible] დით, მოპირდაპირეს უნდა ჰქონოდა სულ სამი წყება გამაგრებული ადგილებისა ერთი მეორის-ზურგით. მაგრამ ეხლა სომაზე ბრძოლამ დაამტკიცა, რომ გერმანელებს მეხუთე, მეექვსე და შეიძლება მეშვიდე წყებაცა აქვთ ასეთი გამაგრებული ადგილებისა. ამ მხრივ ხაზის სრული გარღვევა მოუხერხებელი ხდება, მით უმეტეს, რომ გერმანელებს აქვსთ კიდევ ბელგიის გამაგრებული ხაზი, ციხე-სიმაგრეებით გამაგრებული ხაზი და მეორე ხაზი გერმანელების საზღვრის სიმაგრეებისა. ერთად-ერთი იმედი ბრძოლის ხაზის სრული გარღვევისა ისაა, რომ ეგოდენ მრავალრიცხოვან გამაგრებულ ბრძოლის ხაზს, ეგოდენივე მრავალრიცხოვანი ჯარი ესაჭიროება, რაც გერმანელებს, მიმომხილველის აზრით, არ გააჩნიათ.

**გერმანეთისა და შვეიცარის შეთანხმება.**

ბერლინიდან იტყობინებიან: შვეიცარიის კავშირის საბჭომ 15 ენკენისთვეს დაადასტურა შვეიცარია-გერმანეთ შორის მომხდარი ეკონომიური შეთანხმება.

**უნგრეთის გასაჭირი**

უნგრეთის პალატაში გრაფ კაროლის განუცხადებია: ომამდე უნგრეთი იყო ულეველი პურის ბეღელი მთელი ევროპისათვის, ეხლა კი საშუალო ოჯახის შენახვა 220 პროცენტით გაძვირდა, მაშინ როდესაც გერმანეთში სანოვაგის გაძვირება 96 პროცენტს არ ასცილებიაო.

**ახალი „ცეპელინები"**

„პოლიტიკენ"-ი იტყობინება: გერმანელებმა დაამზადეს ოთხი ახალი ცეპელინი, რომელსაც 3000 ვერსის გავლა თავისუფლად შეუძლიან; საათში 65 ვერს გაივლიან. ასეთი ცეპელინის სიგრძე 780 ფუტს უდრის. შეუძლიათ 17 ათას ფუტის სიმაღლეზე ასვლა (თითქმის 5 ვერსზე). თან აიტანენ 310 ფუთ ასაფეთქებელ მასალას.

# უკანასკნელი დეპეშები

**კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გარდაიცვალა გერმანეთში მყოფი ტყვე მფრინავი ბერიძეო.**

**მთავრობის განკარგულებით სამხედრო სამსახურში თეთრ ბილეთიან სტუდენტებსაც გაიწვევენ.**

**საბერძნეთის მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ამ დღეებში ათინიდან სალონიკში ოთხის გემით წავიდა 340 ოფიცერი და 3400 მეომარი. ესენი რევოლიუციონერებს მიემხრნენ ამავე დროს მეფე კონსტანტინე გერმანოფილებს ეთათბირება.**

**ინგლისელების ცნობით დღემდე მათ გერმანელების 120 წყალქვეშა დაიღუპავთ. შესაძლებელია გაზაფხულისთვის გერმანელებმა მზად გაკეთებული 100 წყალქვეშა გამოუშვან. ამ ნავებმა ბრძოლაში მეტი გამოცდილება მიიღეს, მაგრამ მეორეს მხრით მოკავშირეებმაც ისწავლეს წყალქვეშებთან ბრძოლა.**

# მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

**თავი V**

**1907—8 წლები. კრიტიკული ხანა დახელთა მოღვაწეობაში. დემოკრატები და სოციალისტები. დახელთა საქმიანობა და ფედერალისტები. მიწების შესყიდვა, საახალშენო პოლიტიკა და დახელები.**

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს აწინდელი მთელი ტრაგედია ტერიტორიის შერჩენის საკითხში მდგომარეობს. საქართველოს სოციალი სხეული მრავალგან დასერილია უცხო მოდგმის ხალხთა ჩამოსახლებით, მაგრამ ამ სამწუხარო პროცესს ამდენ ხანს თითქოს აცდენილი იყო დასავლეთი კოლხიდა, რომლის მკვიდრთ შეეძლოთ ეთქვათ— ეთნოგრაფიულად მთლიანი საქართველოს ნაწილი, ეს მხოლოდ იმერეთიაო. მაგრამ ბედი ცვალებადია. გადმოსახლების ძლიერი ტალღა შავი ზღვის ნაპირებიდან იმერეთსაც სწვდა. საერთოდ როგორც იმერეთის, იგრე განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირები რუს გადმოსახლებულთათვის გაცილებით უფრო არახელსაყრელია, ვინემ აღმოსავლეთი საქართველო მიუხედავად ამისა, აქ სისტემატიურად ასახლებენ სხვა და სხვა გარემოებათა გამო თავის კარ-მიდამოდან ახვეწილ მკვიდრ რუსებს. ბევრნი ამათგანი რელიგიურ ნიადაგზე ოფიციალ ეკლესიასთან შეუთანხმებლობისა გამო გამოსთხოვებიან სამშობლო კუთხეს, როგორც, მაგ., დუხობორებს, სხვას კიდევ ცენტრალ გუბერნიებიდან აგრარულ ნიადაგზე უსიამოვნო ბრძოლის ასაცდენად ასახლებენ შორეულ საქართველოში, რომ ამით დრომდის მაინც უზრუნველჰყონ მშვიდობიანი ცხოვრება. კერძოდ გურიაში ამ ოცი წლის წინად გადმოასახლეს რამდენიმე კომლი, რომლებიც დააბინავეს ოზურგეთის მახლობლად სოფ. ეწერში. გურულები ამ მოვლენას მაშინ გულგრილად შეხვდნენ: არც სიხარული და არც დიდი მწუხარება ამ ამბავს არ გამოუწვევია. ტერიტორიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად 30-დე კომლის გადმოსახლება დიდ საფრთხეს არ შეიცავდა. ამასაც, რომ დავეთხოვოთ, გადმოსახლებულები თავიანთი კულტურით ადგილობრივ მკვიდრთა მაღლა არ იდგნენ, ასე, რომ დღეს ამ 30 კომლიდან მხოლოდ სამიოდე დარჩა, დანარჩენნი კი ვერ შეეწყვენ ადგილობრივ სამეურნეო ცხოვრების წესებს და აქა-იქ ქალაქებში სამუშაოდ გავიდნენ. ამის შემდეგ გადმოსახლებას უფრო ხვა ელფერი უნდა მისცემოდა დას აკი 1912 წლიდან სად. ნატანების მახლობლად სახაზინო მიწებზე დაასახლეს 200 კომლი სტამბოლიდან გამოსულ რუსებისა, რომლებიც იქ ამ რამდენიმე საუკუნის წინად ყოფილან გაგზავნილნი. მოვიდნენ თუ არა ისინი გურიაში, მაშინვე ხარბად შეუდგნენ ადგილობრივ მეურნეობის დაწყებას, თან ახლდათ მღვდელი, დაიარსეს სასოფლო მართველობა და ამ ბოლო დროს სკოლა და მასწავლებელიც გაუჩენიათ. როგორც ვხედავთ, ყველა ეს გარეგნული ნიშნები იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ მოსულთ თავიანთი კულტურა ჰქონდათ და ადგილობრივ ცხოვრების სტიქიასთან ბრძოლა არ გაუძნელდებოდათ. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი სრული გაუგებრობა და უმეცრება ადგილობრივ მეურნეობის წესების შემშვნევაში! ვერც ხარ-გუთანი და ვერც ურემი ვერ გაუმართნიათ ისე, როგორც ეს გურულებს სჩვევიათ, სხვა გვარი წესის შემოღება კი აქ ყოვლად შეუძლებელია. გურულ გლეხებს არა ერთხელ მოსვლიათ ლაპარაკი ამ ნიადაგზე, მაგრამ მათ სამაგიეროდ კეტისათვის მ უშურებიათ. ვინ დაარიგა აგრე ისინი, ნ რატომ გაურბიან გურულებთან კავშირის დაჭერას, ეს საიდუმლოებით არის მოცული. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკამ კერძოდ გურულთათვის საშინელი მდგომარეობა შეჰქმნა. როგორც ვიცით, პირველი დღეები ჩამოსახლებულთა აქ სისხლი-ღვრით და ერთი უბედურებით აღინიშნა სახაზინო ტყეებში, რომლებიც აკრავენ გადმოსახლებულთათვის მიჩენილ მიწებს, გურულებს მრავლად ჰქონდათ მოჭრილი შეშა, რომელიც, თანახმად სატყისმცველო მართველობიდან მიღებულ ბარათებისა, უნდა გ მოეტანათ და გაეყიდნათ. მოსულნი კი მიცვივდნენ მზა-მზარეულ შეშას და მისი დატაცება მოინდომეს. ვინ გააღიზიანა მათში ასეთი სხვისი საკუთრებისადმი უპატივცემულობის გრძნობა, ან შეიძლება ბუნებით ყაჩაღურ მიდრეკილების ტომისანი გადმოუსახლებიათ აქ, ესეც იმავ საიდუმლოებით არის მოცული. ერთი კი ცხადია მხოლოდ, რომ ადგილობრივი კულტურისათვის ჩამოსახლებულები შეუფერებელნი არიან, თან გარეგნული წესები მათი ცხოვრებისა გურულებში ერთგვარ დაცინვასა და გაკვირვებას იწვევს. რაც უნდა ღარიბი იყოს გურული, ის სოფლიდან ოზურგეთში ფეხშიშველი არ წავა, მოსული რუსები კი სამაზრო მართველობაშიაც ხშირად ფეხშიშველნი დაიარებიან. აქედან კი ცხადია თუ კულტურის რაგვარ დონეზე უნდა იდგნენ ეხლა ისინი, რომ ევროპიულ გემოვნებისა და წესების აღმსარებელ კუთხეში ასე იქცევიან.

როგორც ვიცით, სტამბოლელი რუსები დაასახლეს სწორედ იმ სახაზინო მიწებზე, რომელთა ამ რამდენიმე წლის წინად გურულების მიერ შეძენა ადვილად მოსახერხებელი იყო. მაშინ მიწის შესყიდვის სურვილს ხელმძღვანელი პირები გულგრილად შეხვდნენ. დღეს კი 200-ზე მეტი კომლი უცხო ელემენტი ჩამოუსახლებიათ აქ, რასაც საგრძნობი გავლენა დაურჩება განსაკუთრებით ტყის საჭიროების დაკმაყოფილებაზე. გურიაში ტყე საყოველთაოდ გაიჩეხა. ერთად-ერთი მდიდარი ტყე იყო ეგრედ წოდებული „საღარიბო", რომლის გვერდით დღეს რუსები მოსახლეობენ. როგორც ამ ტყით ფაქტიური სარგებლობა, ისე ჩამოსახლებულთა მიერ დაჭერილი მიწები გურულებს ხელიდან გამოეცალათ. „მიწის უფლებისათვის" დიადი ბრძოლა სამარცხვინოდ დამთავრდა. გურიას ისე მოუვიდა, როგორც საზღაპრო მეწუნიას დამართეს. პატარას დამწუნებელს ისიც წაართვეს, რაც ებადა და გააჩნდა. ვინ არის ამაში დამნაშავე, დღეს უკვე ადვილად მივხვდებით, მაგრამ ნაადრევია საბრალმდებლო ოქმის თხზვა მაშინ, როდესაც თვით აწინდელი სამართლის დამდგენი, ვინ იცის ვის მოხედავს მოწყალების თვალით, ვის გაულიმებს, საით გადაჰხრის სასწორს მართლმსაჯულებისას. დღეს კი ჩვენს წინ მძიმე ლოდივით სძევს ერთი დიდი მოხელის მიერ უმაღლესად მოღებული განკარგულება, რომელიც გურიის მიდამოებზე უცხო ელემენტის დასახლებას შეეხებოდა. სამწუხაროა მხოლოდ ის რომ ამ ანტიქართველურ პოლიტიკას ადგილობრივად ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობდა მოქმედ გავლენიან პოლიტიკურ პარტიის მოღვაწეობაც. მაგრამ არა მარტო გადმოსახლების საკითხში, არამედ საერთოდ ეროვნულ ალღოს დაუმკვიდრებლობაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა ამ მიმართულებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გურულთა მოძრაობის უაღრესად ეროვნული ხასიათი დაჩრდილა საიმპერიო ლოზუნგების აღმსარებელ პარტიის მოღვაწეობამ.

**დ. არონიშიძე.**

(შემდეგი იქნება)

*) დასასრული მეხუთე თავისა იხ. „საქართველო" № 214.

იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე კავკასიის უმაღლეს მთავრობას უპასუხნია: ნაფიც ვექილთა თვითმართველობის ხაზჩოს დახაარსებლად არავითარი დაბრკოლება არ ეღობება.

—

კაიზერი აღმოსავლეთის ფრონტზე მოვიდა.

—

მოსკოვის ქალაქის გამგეობა ეხლავე შესდგომია დემობილიზაციის (ჯარის დაშლის) სამზადისს.

—

ეგზარხოს პლატონის შუამდგომლობით უწ. სინოდმა ქალთა ეპარქიულ სასწავლებლის ინსპექტორი დეკანოზი კორნელი კეკელიძე თბილისის სემინარიის რექტორად დანიშნა.

—

„ინვალიდი“ სწერს: ამ ჟამად გერმანეთში ხელ ახლად საკითხი აღიძრა იმის გამო, რომ წყალქვეშა ნავები ბლომად გაიჩინონ. ამ ომის განმავლობაში გერმანელებს თავიანთი ფლოტი მეტის-მეტად გაუმჯობესებიათ. ამ ხანად გაუკეთებიათ 225 წყალქვეშა. 1914 წელს გერმანეთს ხულ 30 წყალქვეშა ჰქონდა და ამდენივე უნდა გაეკეთებინათ ხარჯაღრიცხვის მიხედვით. გერმანელები ამ ნავებით მახლობელ ზღვებში ჩრდილოეთისა და ბალტიისაში იბრძოდნენ, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ დიდ მანძილზე მიდიან და მათი მოქმედება ცხადდება ხმელთა შუასა, ადრიატიკისა და შავ ზღვაში გერმანელები თვითონაც აკეთებდნენ წყალქვეშებს და მოკავშირეებსაც აკეთებინებდნენ. ორის წლის განმავლობაში გერმანელებს თავი მიუნებებიათ დიდ გემების კეთებისათვის და მთელი ენერგია წყალქვეშათა კეთებისათვის მოუხმარებიათ.

# ახალი ამბავი

### ქართული დაწესებულებანი.

✦ **ხილის ნიხრი.** „ქართლის“ ამხანაგობის ცნობით თბილისის ბაზარზე ხილის მაზანდა (ფასი) 20-დან 28 ენკენისთვემდე იყო: ვაშლი 1 ფუთი (წითელი კალვილი) 6 მანეთიდან 4 მანეთამდე, ვანადიური რენეტი (ანტონოვისა) 6 მანეთიდან 4 მანეთამდე, ბელფლორი 7 მანეთიდან 5 მანეთამდე. ცსხალი ფუთი: დუშური 5 მანეთიდან 6 მანეთამდე, ბერებოსკი ალექსანდრეული 7—6 მანეთამდე, ხეჰპური 3 მ. ატამი 12—10 მანეთამდე, ვაშლისა და მსხალის ჩირი 12 მ. კომში 4 მანეთიდან 2 მან. 50 კაპეიკამდე. ყურძენი ფუთი 6—7 მანეთამ.

### ქალაქის დაწესებულებანი

✦ **ხოლერა.** ქალაქის ლაზარეთში № 40 27 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 45 და ხოლერის ნიშნებით 15 კაცი. 26 ენკენისთვეს ლაზარეთში გარდაიცვალა ხოლერიანი 2 და გაიწერა 1 კაცი.

✦ **ქალაქთა კავშირის** კავკასიის განყოფილების ხარჯთაღრიცხვა მიმდინარე წლის მეორე ნახევრისა შესამჩნევად შეუმცირებიათ პეტროგრადში.

✦ **კანტროლიორის დანიშვნა.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას მოგზაურ კანტრალიორის თანამდებობა დაუწესებია სპარსეთში. ეს კანტრალიორი რევიზიას გაუკეთებს კავშირის დაწესებულებათ სპარსეთის სხვა და სხვა ალაგას.

✦ **მორიგი კრება.** დღეს, 28 ენკენისთვეს, საღამოს რვა საათზე, კრება ექნება ქალაქის საბჭოს ტეხნიკურ და საადგილ-მამულო კომისიებს. საგანი კრებისა არის გამორკვევა საკითხისა მომავალ პოლიტეხნიკუმის კუთვნილ მამულების გამოყენების შესახებ.

— დღესვე, საღამოთი, კრება ექნება საბჭოს სამეურნეო კომისიას, რომელიც ითათბირებს სურსათის გადმოსაზიდ ვაგონების გაწესრიგების შესახებ.

### სხვა და სხვა ამბები.

**კოოპერატივის წევრთა კრება.** 25 ამ თვეს საზოგადო კრება ჰქონდათ თბილისის კოოპერატივთა წევრებს. კრებამ დაამტკიცა ანგარიში გამგეობის მოქმედებისა და აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. არჩეულ იქმნენ ახალი კაცები.

✦ **აქციონერთა კრება.** 25 ამ თვეს მოხდა კავკასიის ბანკის აქციონერთა კრება. დადგენილ იქმნა ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს, რომ ბანკს ნება დართოს გამოსცეს ახალი დამატებითი აქციები 5 მილიონ მანეთისა.

✦ **კრების გადადება.** 25 ენკენისთვეს დანიშნული იყო თბილისის ვაჭართა საზოგადოების კრება, რომელსაც ვაჭართა მამასახლისი უნდა აერჩია, მაგრამ რადგან საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, კრება სხვა დროისათვის გადაიდვა.

✦ **ახალი მომხმარებელი საზოგადოება.** თბილისში კიდევ ერთი კოოპერატივი დაარსდა, რომელშიაც წევრებად შედიან მომეტებულ ნაწილად მეეტლეები და საზოგადოდ მუშა საქონლის პატრონნი. ამ კოოპერატივმა უნდა მიაწოდოს თავის წევრებს: სიმინდი, ქერი, ბზე, თივა და სხვ. საზოგადოების წესდება უკვე დამტკიცებულია. საზოგადოება ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

✦ **კახეთისათვის ფქვილის შეძენა.** თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარემ ბ-ნმა დ. ლუკაშვილმა შეიძინა სტავროპოლში 25 ვაგონი ფქვილი („რაზმოლი“), თითო ტომარა (5 ფუთი) 9 მან. 25 კაპ. ამ ფულს მიემატება კიდევ ხუთი შაური ტომარაზე ადგილობრივ შენახვის ქირა და რკინის გზის ფრახტი თელავამდის. ამრიგად თითო ტომარა ფქვილი თელავში დაჯდება 11—12 მანეთამდე. საქონელი უკვე იტვირთება ვაგონებში.

✦ **ოსტატი სახლის პატრონები.** ზოგიერთ სახლის პატრონებს თბილისში სამაგალითო ხერხი მოუგონიათ, რათა თავიდან მოიშორონ დახარჯულ წყლის ვალი ქალაქის თვითმართველობისა. ეს ვაჟბატონები ამტვრევენ თურმე დახარჯულ წყლის საზომს („სჩოტჩიკი“-ს), რომ ქალაქის გამგეობამ ველარ გაიგოს დახარჯულ წყლის რაოდენობა. ასეთი შემთხვევა თოთხმეტამდე სახლის ეზოში მომხდარა. ქალაქის გამგეობა ასეთ ოსტატებს წარსული წლის კვალობაზე, ანუ ზედმეტსაც, ახდევინებს ფულს, მაგრამ საქმე ის არის, რომ თბილისში დახარჯული წყლის საზომი აღარ მოიპოვება და ამის გამო გამგეობა ზოგიერთ ეზოში წყლის ონკანის დაკეტვას აპირობს.

✦ **თბილისს დაბრუნდა** კახეთის რკინის გზის გამგეობის წევრი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, რომელიც კაფეთს იყო წასული რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლად.

✦ **გრაფი ვ. ნ. კოკოვცევი,** რომელიც წარსულ შაბათს თბილისში ჩამოვიდა, გუშინ, 27 ამა თვეს, ავტომობილით კახეთს გაემგზავრა ბოდბის დედათა მონასტრის დასათვალიერებლად.

✦ **მსახიობი ზარდალიშვილი** საგასტროლოდ ქუთაისში მიიწვიეს. იქ რამდენიმე წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას.

✦ **კვერცხის აღმოჩენა.** ქალაქის აგენტმა ქალმა ტრუხაჩევამ წარსულ კვირას ავლაბარში აღმოაჩინა 3.000 ნამალევი კვერცხი და იმავე დღეს გაჰყიდა ნიხრის კვალობაზე.

✦ **გადამდები სნეულებანი.** თბილისში ხოლერამ შესამჩნევად იკლო. სამაგიეროდ თბილისში გავრცელებულია ქუნთრუშა და საოფლე. ქალაქის საავადმყოფოში წევს 93 ქუნთრუშიანი ბავშვი და 153 საოფლიანი ავადმყოფი. მამა დავითის საქალაქო ქართულ სკოლაში გუშინდლამდის რამდენიმე დღით სწავლა შეწყვეტილი იყო, რადგან ზოგიერთ მოსწავლეთა ბინებზე ქუნთრუშიანები აღმოჩნდნენ. ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილი ეხლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქუნთრუშას და მის წინაამდეგ ყოველ ღონისძიებას ხმარობს.

✦ **ნახშირის სიძვირე.** ბოლო ხანებში სოფლებიდან თბილისში ნახშირი ცოტა შემოდის, რის გამო ეს საქონელი საარაკოდ გაძვირდა.

✦ **უფრთხილდით ჯიბგირებს.** თბილისის სადგურზე და ტრამვაის დასაყენებელ ადგილებში მეტად გავრცელდა ჯიბგირობა.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 25 და 26 ენკენისთვეს: ფქვილი 34 ვაგ., სიმინდი 5 ვაგ., ქერი 3 ვაგ., კართოფილი 1 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., შეშა 30 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 3 ვაგონი ხილი 500 ფუთი.

### სომეხთა შორის.

✦ **უხვი ქველმოქმედი.** ერევანში გარდაიცვალა ხაჯი-მირზიკ-მაზულიანი, რომელსაც მთელი თავისი ქონება, 100 ათას მანეთამდე ღირებული, ანდერძით დაუტოვებია თავისი სამშობლო სოფლის სკოლისათვის.

✦ **სკოლის მზრუნველები.** ვანქის ტაძრის გალავანში ამ დღეებში აირჩევენ დელეგატებს, რომელთაც თავის მხრივ უნდა აირჩიონ ანანოვის სახელობის ქალთა სკოლის მზრუნველები.

## ოზურგეთი

### ველური საქციელის გამო.

ბ-ნ ალ. გა—ძე კალანდაძის მიერ გაზეთ „სამშობლოს“ კორესპოდენტის ბ-ნ მუმლაძის ხელით შეურაცყოფის გამო მთელი ოზურგეთის მცხოვრებნი, განურჩევლად მიმართულებისა ღრმად აღშფოთებულნი არიან... ვერ წარმოვიდგენდით თუ ახლანდელ დროში ასეთ უმსგავს საქციელს ადგილი ექნებოდა და ისიც სად, ვისგან და ვის მიმართ!

**ოზურგეთის მცხოვრებნი.**

## სიტყვა

**წარმოთქმული ქალთა ქართულ საოსტატო სემინარიის კურთხევაზე, 25 სეკტემბერს, 1916 წელს.**

„ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოან. 1,5)

ცისა და დედა-მიწის შემოქმედმა მეუფემ ბნელით მოცულ ქვეყნიერებას პირველად მოჰფინა ნათელი: „და იყოს ნათელი,—ბრძანა ყოვლის შემძლებელმა, —და იქმნა ნათელი“ (შექ.1,3). ამა „ნათლის“ განმაცხოველებელი პირველი სხივები ელვის სისწრაფით სტყორცნა შემოქმედმა მთელს სამყაროს· ამა „ნათლის“ სხივებში დაიფარა სული წმიდის ძალით და მადლით ნაპკურები ქაოსი; „ნათლის“ სხივთა ზვირთებში მოინათლა ქვეყანა, ნათლით შეიმოსა ყოველივე!

ეს „ნათელია“ დასაბამი ჟამთა და წელთა, ეს „ნათელია“ დასაბამი და ცხოვრება ქმნილებათა! უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ არ „ნათელი“ ესე, სხვაფრივ შეუძლებელია ნიჭი ცხოვრებისა. აქედან ცხადია, რომ „ნათელი“ არის ღვთაებრივი სტიქია, შემდეგ საუცხოოდ განწესრიგებული, როგორც ამას შეჰლაღადებს უფალს წინასწარმეტყველი მეფე დავითი: „შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი, გარდაართხენცანი, ვითარცა კარავნი“! (ფს. 103,2)

ამ სამოსელში შემოსა შემოქმედმა თვისი უმშვენიერესი ქმნილებაც-კაცი-ადამიანი, ხატად და სახედ ღვთისად ქმნილი. ადამიანის უკვდავ და გონიერ სულში განსაკუთრებულ სიუხვით დაისადგურა ღვთაებრივმა ნათელმა. ეს ღვთაებრივი ნათელი ადამიანში არის მისი მაღალი აზროვნება, გრძნობათა ზღვა-გული და თავისუფალი ნების ყოფა. ამ ნიჭთა და ძალთა სავარჯიშოდ გადაუშალა ღმერთმა მას თვალწინ ვეებერთელა წიგნი ბუნებისა, წიგნი დაწერილი არა ასოებით, არამედ ათასგვარ საგნებით და ბუნების აურაცხელ მოვლენებითა.

კაცობრიობამ ისწავლა ამ წიგნის წაკითხვა, ისწავლა ამ წიგნის არამც თუ მხოლოდ წაკითხვა, ამასთანავე თვით იწყო საკუთარ წიგნების წერა და მათში ბუნების წიგნიდან ამოკითხულის შთამომავლობათათვის ახსნა-განმარტება. ამასთანავე კაცობრიობამ შეისწავლა და ამოიკითხა თვის სულიერ არსების შინაარსი, თვის სულიერ ცხოვრების კანონები და მისწრაფებანი.

ამ სახით შეიქმნა ეგრედ წოდებული საკაცობრიო განათლება, წინმსვლელობა და კულტურა. ეს იყო ნაყოფი კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა დაუცხრომელ შრომისა და კვლევა ძიებისა. გარნა ესე ვითარი შრომა და კვლევა-ძიება მათი განსაკუთრებულის სიძლიერით გაიფურჩქნა, ამოძრავდა და გადახალისდა ქრისტე მაცხოვრის ქვეყნად ქადაგების შემდეგ. ცდომილ, დაავადებულ კაცობრიობას ისევ მოევლინა „ნათელი პირისა ღვთისა“, „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. 1,9; კაცობრიობამ იგემა „მადლი და ჭეშმარიტება ქრისტეს იესოს მიერ ქმნილი“ (იოან. 1,17). ამ „მადლის და ჭეშმარიტების“ ქვეშე გასუფთავდა მისი გონება, ზნეობა და მთელი მსოფლ-მხედველობა ათასგვარ ცრუ მორწმუნეობათა და შეცდომათაგან. შეიქმნა ახალი კულტურა, ახალი, უფრო ძლიერი და ნაყოფიერი, წინ-მსვლელობა მისი. ამ ნიადაგზე აღმოცენდა თანამედროვე მეცნიერება, ხელოვნება და აურაცხელნი დარგნი მათნი...

კაცობრიობის ასეთ განათლებულ მსვლელობაში თავისი წვლილი შეუტანია ქართველ ერსაც. ეს ერთ-ერთი უძველეს ერთაგანია დედამიწაზე. მასაც შეუქმნია ძველი და ახალი კულტურა, მასაც თავისებური კვალი დაუმჩნევია ცხოვრებაში, ამას მოწმობენ აუარებელი ნაშთნი ჩვენი მაღალ განვითარებისა, ამაზე ღაღადებენ ჩვენნი ძველის-ძველი ციხე ქალაქები, ჩვენი საუცხოოდ ნაშენ-მოხატულნი ტაძარ-მონასტრები, სადაც გაჩაღებული იყო გაუქრობელი ლამპარი ჩვენი ერის სწავლა-განათლებისა; ამაზე მოგვითხრობენ ჩვენნი და უცხოთა პირუთვნელნი მემატიანენი, ძველი და ახალი მწიგნობრობა, ამას მოწმობენ ჩვენი მუზეუმები, სადაც მოგროვილია ბევრისაგან ბევრნი ხელთნაწერები, ჯერ კიდევ ჩვენგნით წაუკითხავ-შეუსწავლელნი!

ყოველივე ესე და სხვანი მრავალნი ასეთნი ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენს ერს უცხოვრია გონივრულად, ის არ ყოფილა სხვის ხელთ შემხედვარე, მას ბევრი უბრძოლია თვის არსებობისათვის, შეუნარჩუნებია საკუთარი სახე და საქვეყნოდ გამოუცხადებია, რომ ის ღირსია პატივისცემისა, მორიდებისა, თვის ძალთა და ნიჭთა უფრო განვითარებისა და გაღრმავებისა!

ეს მისწრაფება ჩვენი ერისა ვერ წარხოცა ვერავითარმა ჭირმა და განსაცდელმა, ვერ ამოგლიჯა მისგან ვერავითარმა ისტორიულმა გრიგალმა და ქარიშხალმა, რომელთაც არა ერთხელ გადაუვლია ჩვენს ტურფა ქვეყნის თავზე, ჩვენს ჯვარის მტვირთველ მოწამებრივ ერის გმირ გულმკერდზე!

ეხლაც, მთელ საუკუნის განმავლობაში თაოსნობას მოკლებულნი, ნივთიერადაც გაფცქვნილ-გალატაკებულნი, გულს არ ვიტეხთ,—დიდხანს ძილს ჩვეულ როდი ვართ,—ვიღვიძებთ და საქმიანობის გზაზედ გამოვდივართ. დღეს, ამ უმაგალითო მსოფლიო ომის დროს სისხლისაგან დაცლილი ქართველობა, დიდ რუსეთთან ერთად, ერთგულად სწევს ჰაპანს საერთო საქმისათვის და თვის კერძოსაც არ ივიწყებს. უკეთეს მერმისის მოლოდინში აღარ ვზოგავთ არავითარ მსხვერპლს.

დღეს მთელმა ერმა შეიგნო, რომ ამ უკეთეს მერმისის შესაქმნელად საჭირო თანამედროვე სწავლა-განათლების მოფენა ჩვენში, რომ შეგნებული ერი ნივთიერადაც წელში გაიმართოს და თვისი ისტორიული არსებობა განამტკიცოს. ამ მიზნით სხვა და სხვა ტიპის სკოლებით დაიქსელა ჩვენი ქვეყანა—ამერ-იმერეთი სამამადიანო საქართველო. ამ სკოლების გასახსნელ-გასაძღოლი ძირითადი ხარჯის გაწევა თვით ჩვენ მშრომელ ხალხს მძლე ჯიბეს უხდება და მძიმე ტვირთად აწევს მას კისერზედ. მიუხედავად ამისა ეს სკოლები ვერ არიან რიგიანად მოვლილ-დაყენებულნი, ისინი ვერ არიან ჩვენი ერის პრაქტიკულ მოთხოვნილებისადმი შეხამებულნი, მასწავლებელნი მათნი უმეტეს ნაწილად მოკლებულნია საჭირო პედაგოგიურ აღზრდა-მომზადებას, ამიტომ ვერ გვიზრდიან ისინი შეგნებულ, მომქმედ მამულიშვილებს.

სწავლა-განათლების წყურვილი კი დიდია ჩვენში, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში!

ამ საერთო წყურვილს ჩვენში სწავლა-განათლების მოფენისა და მის სასურველ ნიადაგზე დამყარებისას დედობრივის მზრუნველობით გამოეხმაურა ქართველ ქალთა საზოგადოება „განათლება“. ეს საზოგადოება დიდი ხანი არ არის, რაც მოქმედობს ჩვენში, მაგრამ მან უკვე საკმარისად გვაჩვენა თვისი მოღვაწეობის უნარი, სიხალისე და შრომის მოყვარეობა. ამ ნორჩმა საზოგადოებამ უკვე დაიმსახურა ჩვენი ერის ნდობა-სიყვარული, მას შეეწეოდა ხელი გაუწოდეს ჩვენმა ქველმოქმედებმა, მას ეხმარებიან ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება, ჩვენი თავად-აზნაურობა და ყველა ცოტად თუ ბევრად შეძლებულნი ჩვენი დაწესებულებანი.

დღეს „განათლების“ საზოგადოება, შედარებით ნივთიერად მოღონიერებული, უფრო კი ჩვენი ერის თანაგრძნობით გამხნევებული, ძვირფას ნობათს უმზადებს მშობელ ქვეყანას: მან განიზრახა და აი, სისრულეში მოჰყავს კიდეც ქალთა საოსტატო-პედაგოგიურ სკოლის გახსნა!—აქ ჩვენი სახალხო სკოლებისათვის პედაგოგიურად გაწვრთნილ-განსწავლულნი მასწავლებელი ქალები უნდა აღიზარდონ, რომ ამათ, ახალ კანონის ძალით სწავლება ჩვენს სკოლებში დედა ენაზე აწარმოონ და მით მისცენ ჩვენს მოზარდ თაობას სალი, უფრო იოლი და უფრო ნაყოფიერი განვითარება უკვე პედაგოგიურ ჭეშმარიტებად აღიარებულია, რომ ბუნებრივი, სალი და ნაყოფიერი სწავლება სკოლებში შესაძლებელია მხოლოდ დედა-ენაზე! ასეც იქცევა ყველა ერი, ვისაც საკუთარი თავ-ბედისა ცოტა რამ მაინც ეკითხება და ეგეგება!

დროა, ჩვენც ვისარგებლოთ ამ მოკლე და ნაცად სწორი გზით, ჩვენი ერის განათლების და გათვითცნობიერების საქმეში!

აი, ასეთი ისტორიული ნაბიჯი გადადგა დღეს ქალთა საზოგადოება—„განათლებამ“, რომელსაც მიზნად დაუსახავს მშობელ ერის მოზარდ თაობათა მშობლიურ კალთაში აღზრდა-განვითარება, რომ შემდეგ უფრო ადვილად და საფუძვლიანად შეითვისონ მათ უცხოთა კულტურა და განათლება!

აქ უნებლიეთ გვაგონდება, რომ ჩვენი ქვეყანა დედათა მზრუნველობის ქვეყანაა იმ თავიდანვე! ის ღვთისმშობლისა წილ-ხდომილია ის ანდრია პირველ-წოდებულის და სიმონ კანანელისაგან ღვთის მშობლის ბრძანებით ქრისტეს სჯულზედ მოქცეულია! შემდეგ ეს სჯული ჩვენში ისევ ქალწულისაგან განმტკიცებულია! ქართველი—კაპადოკიელი ქალწული, წმ. ნინო, ისევ ყოვლად წმიდა ღვთის მშობელმა მოგვივლინა, უბოძა რა მას ხელში ჩვენი სასოება—ჯვარი ვაზისა! ნაზმა ქალწულის ხელმა შესძლო განემტკიცებია ჩვენში ქრისტეს სჯული მეოთხე საუკუნის დასაწყისში! ამიტომ ის შერაცხილ იქმნა მოციქულთა სწორად, ესე იგი, წმ. ნინო ცნობილ იქმნა ჩვენი ერის საუკეთესო ოსტად-პედაგოგად! აქედგან ცხადია, რომ ჩვენში ქალის მასწავლებლობას დიდი ნიადაგი და მომავალი აქვს.

ჩვენი ქვეყანა თამარ-მეფის ხელში ავიდა განათლების უმწვერვალეს საფეხურზე. ამ წმ. მეფე-ქალის ხელში გაძლიერდა, გაერთიანდა და ყოველი მხრივ აღორძინდა საქართველო. ამ დროს ეწოდება ჩვენი კულტურის ოქროს ხანა. საშუალო საუკუნეში, როდესაც ევროპა ბურუსით იყო მოცული, ჩვენში ქალმა კულტურა ააყვავა! ესეც მოწმობს ქალის დიად გავლენას და ოსტატობას ჩვენი ერის გაწვრთნააღზრდის საქმეში.

ნინოსა და თამარს მხარს უმშვენებს დიდ მოწამებრივ შარავანდედით გასხივოსნებული კახთა დედოფალი წმ. ქეთევან, ამან ამცნო ქვეყნიერებას ქართველ მანდილოსნის უმაღლესი ზნეობრივი სისპეტაკე, მისი ნამუსიანობა, მის განჭირთა და სალმობათა დიადი დათმენა, ქვეყნისათვის თავდადება! ესეც თავდებია ჩვენ „განათლების“ ასპარეზზე მოღვაწე მანდილოსანთა საქმიანობის სიმტკიცისა.

მაშ, ისევ ქართველმა ქალებმა უნდა დაარწიონ აკვანი ჩვენი ერის განათლებისა, აღორძინებისა და გაერთიანებისა! **ეს აკვანი დაიდგა დღეს** აქ! ვინძლო მასში ჩაწვენილ პატარა ქართველს აწოვოთ აქ სალი, შემარგი დედის რძე, განამტკიცოთ მასში აზრი წმინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოთ მასში სჯული ქრისტესი,—ეს სული და გული ქართველი ერისა, რომელსაც მან ანაცვალა სხვა ყველაფერი ძვირფასი ერის ცხოვრებაში! უმღერეთ მას ტკბილი, ქართული „იავ-ნანა“, რომ დავაჟკაცდეს და შეიტყოს ვინ რა აწყინა...

ამ რწმენით, ასეთ გრძნობებით გავიმსჭვალოთ, საყვარელნო, და მოვიწვიოთ კურთხევა უფლისა ამ ახალ და თან დიად სამოღვაწო-ასპარეზზე! შევსთხოვოთ უფალს, რათა მან მოსცეს ჩვენში „განათლების“ ასპარეზზე მოღვაწე მანდილოსანთ მოციქულებრივი ნიჭი წმ. ნინოსი, დედობრივი ლვწლი და გამჭრიახობა წმ. თამარისა, ზნეობრივი სიფაქიზე, ხასიათის სიმტკიცე და თავ-დადება ქეთევან წამებულისა.

წმინდანნო, მოციქულთა სწორო ნინო, მეფე-თამარ და დიდო მოწამეო, დედოფალო ქეთევან, ევედრენით ღმერთსა ჩვენთვის. ამინ.

**დეკ. ნ. თალაქვაძე.**

## გ უ რ ი ა

წარმოუდგენელი და აუწერელია დღევანდელი გურიის გასაჭირი: კრეფა-ტეხის და რთველის დრო უკვე გავიდა, ჭირნახულისა და ყურძნის მოსავალიც საარაკოა.

ამ დროს გურულები „ცალხელკიდობას“ ეძახიან.—ერთი მუშა ხელი ასად ღირს. გურულებიც მხნედ შეუდგნენ ჭირნახულის მილაგებას, ქალიან-კაციან-ბაღნებით შეესივნენ საქმეს, მაგრამ სწორედ ამ დროს მამაკაცთაგან გურია სავსებით იცლება.

მოგეხსენებათ, საზოგადოთ გურულები „გარეთ გასული ხალხია“. ბევრი ისედაც არ იყო შინ, ეხლა-კი ვინც იყო და შრომის უნარი ჰქონდა იწვევენ—მიჰყავთ!

სურათი გულშემზარავია! ამას დაუმატეთ ახალი უბედურება, ახალი განსაცდელი, ახალი ზარალი: მთელ გურიაში სწრაფად ვრცელდება საქონლის ჭირი. საექიმო დახმარება ბედნიერ დროსაც ნაკლები იყო და ახლა რაღა იქნება. ერთად-ერთი დახმარება ის არის, რომ ავათმყოფსა და სალს საქონელს ჰკლავენ და მიწაში მარხავენ. პატრონს კი ჰპირდებიან, რომ ოდესმე ხაზინიდან მიიღებს დახმარებას. გირვანქა ხორცში (დარაჯების შეფასებით) 18 კაპ. წინად როცა ხარი 30—40 მან. ღირდა, როცა გირვანქა ხორცი ორ შაურად ფასობდა, მაშინ კარგი დახმარება იყო, მაგრამ ეხლა, როცა გასაყიდი არ იშოვება და თუ იშოვება, ცალი ღირს 150—200 მან. როცა გირვანქა ხორცი 35—40 კ. ეს ზარალის რა ანაზღაურებაა?

ჭირი, ჯერჯერობით მძვინვარებს ჩოჩხათის საზოგადოებაში, საცა გულშემზარავ სცენებს აქვს ადგილი: ბეითალ-დარაჯები (სტრაჟნიკები) ჰკლავენ მეწველე ძროხას, ძროხის პატრონი, ქალი და ბავშვები ხმა მაღლა მოსთქვამენ. ბევრი კი საეჭვო ადგილიდან საქონელს სხვა ადგილას მალავს და ამით ხელს უწყობს ჭირის გავრცელებას. ამ დღეებში კი ჭირმა ოზურგეთის არე-მარეშიაც იჩინა თავი, მოგახსენებენ—სამეგრელოდან ნაყიდ საქონელს მოჰყვაო. ბეითალი და ფერშალი კი ჩოჩხათის საზოგადოებაში მუშაობს. საჭიროა მეტი რადიკალური ზომები, მაგრამ რა?!

**ხოჯ-ოღლი.**

## გურამიანთკარი

ამ სოფელს განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სოფელს ეძახიან. ეს სახელი ზედ გამოჭრილია ამ სოფელზე. თავის დროს მცხოვანს პოეტს აქ ყველაფერი მოეპოვებოდა, გაფართოვებული ჰქონია მეურნობა ყოველის მხრივ, ასე რომ, როგორც იტყვიან მეურნეობის ყოველ დარგში აქ ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა კოპწიად და გონივრულად ჰქონია აქ მოწყობილი ყველაფერი ილიას, მაგრამ ყველაფერი ეს ჩამქრალა, მინელებულა.

განსვენებულ პოეტის ვერაგულად მოკვლის შემდეგ მის (პოეტის) მამულების და ქონების მეპატრონობა უკისრნია ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობას, მხოლოდ იმ აზრით, რომ მამულებისთვის სრული მეპატრონობა გაეწევა, მოეარნა და ყველაფერი დაეცვა და შეენახა ისე, როგორც ამას მოითხოვდა თვით მამულის მოვლა-პატრონობა. წ. კ. გ. საზ. გამგეობას პოეტის მიერ ნაანდერძევ მამამულებისთვის ალღო ვერ აუღია და პირველ ხანებშივე დასახელებული ადგილები 500—600 დესეტინა სახნავ სათესი მიწები, ტყე და მშვენივრათ მოწყობილი შენობები მოიჯარადრეთათვის გადაუცია.

მოიჯარადრე თუ რა გვარად უყურებს საქმეს, ეს ყველასათვის ცხადია. დღიდან იჯარით გადაცემისა ამ მამულების საქმე სულ უკანდაუკან წასულა. წ. კ. გ. საზ. გამგეობა მოიჯარადრეთაგან თხოულობდა ყოველ წლიურათ მხოლოთ 2000—3000 მანეთს ფულად და იმ ანგარიშის განხილვაში კი არ შედიოდა გამგეობა თუ მოიჯარადრენი რას აკეთებდნენ და რა უნდა გაეკეთებინათ. უბრალოთ რომ ვსთქვათ, გამგეობისგან ხსენებული, თაიგულივით შეკონილი მამულები მთლათ მოიჯარადრეთა ნება სურვილზე ყოფილა მიტოვებული; ოღონდ ამ უკანისკნელთ საიჯარო ფული ვადაზე შეეტანათ გამგეობაში. მოიჯარადრენი რას ინაღვლებდნენ; საიჯარო მამულებს ბევრი გამოსარჩენი ადგილები ჰქონდა, ოღონდ კი საიჯარო ფული გაესტუმრებინათ, ამოდენა თავიანთთვის შეეძინათ და დანარჩენი გაკეთდებოდა, თუ გაფუჭდებოდა, თავს არ იცხელებდნენ. გონივრულად მოწყობილ საქმეს, გონივრული მართვა-გამგეობა ეჭირვებოდა. აქ კი გონივრული მართვა-გამგეობის ნასახიც არსადჩანს რა, გარდა იმისა, რომ მოიჯარადრეთა ხელს ყველაფერი აუოხრებია.*) თავი უსახელნიათ უფრო პირველ სამ მოიჯარადრეო. იმათ ტლანქ ხელს და მადაგახსნილობას ყველაფრისთვის ნიშანი დაუტყვია, მიწასთან გაუსწორებიათ. რაც აქ მოუმოქმედნიათ მოიჯარადრეთ, ამას მტერი არ ჩაიდენდა და არ იკისრებდა. ნუ თუ ყოველ ასეთს ნაბიჯს და საქციელს მოიჯარადრეებისას კანტროლს არ უწევდა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. გამგეობა? თუ კანტროლს უწევდა გამგეობა, არა სჩანს ესა?

აქ ჩვენ ყველაფრის თქმა გვინდოდა, მაგრამ ამისი დრო არა გვაქვს ჯერ და თუ საქმემ მოიტანა, ვიტყვით ყველაფერს.

ამ ჟამათ კი შევეხები ილიას მამულის საქმის სულ ახალს პირობებს, თუ მოიჯარადრეთა ხელიდან ჩამოშორე-

*) უკანასკნელ მოიჯარადრეებზე ამისი მსგავსი არა ითქმის რა. იმათ რის გაკეთებაც შესძლებიათ გაუკეთებიათ. მაგალითად ერთი დესეტინა მამული გაუშენებიათ რიგზე, ამერიკულ ვაზზე დამყნილი. ილიას მამულს ესენი უფრო პატივით ეპყრობოდნენ თურმე. **ა.**

ბის შემდეგ ხსენებული მამულები რა პირობებში იმყოფება.

ზემოთ ნათქვამიდან პატივცემული მკითხველი დაინახავს, რომ ილიას მამულები მოიჯარადრეთ ხელში მეტის-მეტათ უკან და უკან წავიდა, მამულების შემოსავლიანი წყაროები სულ მიწასთან გასწორდა და გაპარტახდა; მკითხველი დაინახავდა იმასაც, რომ თვით ქ. შ. წ.-კ. საზ. გამგეობა წესზე და რიგზე ვერა ჰპატრონობდა ილიას მამულებს. რომ სამუდამოდ კი არ აოხრებულიყო ეს მშვენიერი მამულები, ბოლოს საქმე სულ სხვაგვარად მოეწყო. წ. კ. საზოგადოებამ ხსენებული მამულები გადასცა ქართ. სამეურნეო საზოგადოებას იჯარის მსგავსად. უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, რომ რაკი განსვენებულ ილიას მამულები ხსენებულ სამეურნეო საზოგადოებას ჩაუვარდა ხელში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საზოგადოება ამ მამულებს, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი შრომა დასჭირდება, გამოაბრუნებს, აღადგენს და რაც ყოფილა უფრო ერთი ათად მეტ შემოსავლიან წყაროდ გარდააქცევს. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვამჩნევთ. სამეურნეო საზოგადოება უკვე შესდგომია ილიას მამულების საქმის მოგვარებას; როგორც დარწმუნებით გავიგეთ, დასახელებული გამგეობა აქ მეტის მეტად ფართე მეურნეობის კულტის შექმნას აპირობს და ამაში არც მოსტყუვდება. ჯერჯერობით გამგეობას რამდენიმე დესეტინა კომბოსტო, კარტოფილი, ჭარხალი, სისირი, გოგრა და ხახვი დაუთესია; მოსავალს უმტყუვნია, გვალვები დასდგომია. ამ შემოდგომაზე აპირობს ფართე საქმეს, როგორც მაგალითად გადაწყვეტილი აქვს სამ. საზოგმდოებას ამ მოკლე ხანში დაიწყოს 5—6 დესეტინა მიწის გადაბრუნება ჩამყენი ვაზის გასაშენებლად: გადაწყვეტილი აქვს ამასთანავე გაზაფხულზე ჩაჰყაროს საუკეთესო ჯიშის ხეხილი ბაღის გასაშენებლად. შემოდგომახედვე აზრათა აქვს ამავე საზოგადოებას ილიას სახლები შეაკეთოს წესზედ და მასთან აუზი, რომელიც რამდენიმე ათას კოკა წყალს იტევს, ისევ აღადგინოს და მოაწყოს.

საზოგადოებას გასაკეთებელი საქმე აქ ბევრი აქვს. ერთი სიტყვით ამას სამეურნეო საზოგადოება არ შეუშინდება და ჩვენც სრულს იმედს ვამყარებთ, რომ ილიას მამულებს ეს საზოგადოება სულ რამდენიმე წლის შემდეგ გამოაცოცხლებს და გახდის ჩვენს სიამაყეთ. საზოგადოება ჯერ სულ ახალია, ნორჩი, რამდენიმე წლის დაარსებული, მაგრამ თავის მიერ განზრახულ საქმეს მეტის-მეტათ გატაცებით და უნარით ეკიდება. ამისი დამამტკიცებელია სულ ცოცხალი მაგალითი. „იყალთოს“ სანერგე. იმ მშვენიერ კეკლუც და შემკობილ სოფელში (თელავის მაზრა), სულ 3—4 წელიწადში ისეთი რამ სასწაულთმოქმედება გამოიჩინა, ამ სამეურნეო საზოგადოებამ, რომ სულ მოკლე ხანში, მშვენიერი 15—20 დესეტინა ვენახი და ხილის ბაღი გააშენა სანამყენებით. მთელი კახეთის ყურადღება მიიქცია „იყალთოს“ ამ სანერგემ, ყოველივე ამის შემდეგ იმედი უნდა გვქონდეს, რომ აქ, სოფ. გურამიანთკარშიაც საქმეს ამის მსგავსათ მოაგვარებს.

კოტე.

## წერილი ლოსიანთხევიდან

სიმინდის ტეხა და რთველი აქეთა მხარეზე უკვე თითქმის დასრულდა, მაგრამ მოსავალი შარშანდელზე ნაკლებია როგორც ერთის, ისე მეორესი. ღვინის ნაკლებობა აიხსნება წამლის—გოგირდ-შაბიამნის უქონლობით. გაიძახოდენ მოვა, მოვაო და არაფერი ეშველა იმის მოსვლას, როცა წამლობის დრო გადავიდა, საბრალო სასოწარკვეთილმა ხილხმა იყიდა მამასისხლად-80 მ. ფუთი შაბიამანი, მაგრამ გვიანღა იყო და ამას გარდა ან ნაკლები იყო, ან ზომაზე ცოტას ხმარობდა. თან ამ დროს აქეთკენ ერთმა უცნაურმა ექიმმა იჩინა თავი: ვილაცას გაევრცელებია ხმა, რომ ნაცრის წინაალმდეგ საშვალებაა ნაცარიჳეო. აიღეს და გოგირდის მაგივრად მიაყარეს ნაცარი ვენახს. ჩვენში მიმბაძველობა ხომ ძლიერ ჩქარა ვრცელდება: თითქმის აღარავინ დარჩენილა, რომ ნაცრით არ ეაქიმნოს. მისთანა თქვენს მტერს, ამ ნაცარმა საქმე უყო აქაურ მემამულეებს! არამცთუ მოუხდა, მთლათ ერთიანად გააფუჭა ვენახები და „დამწვარზე მდუღარე დაესხა“. ხალხი უპატრონოდაა მიტოვებული, თორემ იმდენი შეგნებულები კიდევ მოიძებნებიან აქა-იქ, რომ ესწავლებინათ მნიშვნელობა ამ ნაცრისა და გადაერჩინა რამოდენიმე ნაწილი ვენახებისა მაინც. ასეთი წამლობა იყო კვალითსა და კლდეთში, აქედამ სხვებმაც გადაიტანეს.

სიმინდი სამი თვის გვალვამ ისე გააჩანაგა, რომ შარშანდელის კვალობაზე მეათედიც არ მოსულა ეს შიმშილობა ისეთი ქრონიკული შეიქმნა აქეთ მხარეზე და მთლად ზემო იმერეთისაკენ. რომ კარგს არას გვიქადის თუ წინ და წინვე ზომები არ იქნა მიღებული, ყველაფერს გაუძლებს კაცი, მაგრამ შიმშილობს როგორ მოითმენს! ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ის ჯოჯოხეთი გამეორებულიყოს, რომელიც წელს აქეთ იყო უსიმინდობისა გამო: ხალხი დაძრწოდა ტომრით იღლიაში ამოდებული და სიმინდი არსად იყო, ან თუ იყო, ცოტ-ცოტას იძლეოდნენ და იმასაც ცხვირ-პირის მტვრევით. ამ ისტორიის გამეორება წელსაც მოსალოდნელია და ამისათვის უსათუოდ ხალხმავე უნდა გამონახოს სახსარი.

საჭიროა შამიაბან-გოგირდის მოტანა და სიმინდის საქმეც მოწესრიგდეს და ამაზე ზრუნვა დღეიდანვე უნდა იწყონ, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

აიწერა 1898 წელსა დაბადებულთა ახალ-გაზრდების სია ომში გასაწვევად. გამოცხადდა წითელ-ბილეთიანების 1894—1900 წ. და ლურჯ ბილეთიანების 1900-1916 წლამდე. სოფლები თან და თან ცარიელდება, მუშა ვინც იყო, ბრძოლის ველზე გადის.

ზესტაფონის სასწავლებლები წელს გაივსო მოწაფეებით და 300 სწავლის მსურველთ უარი უთხრეს უადგილობისა გამო. აიძრა შუამდგომლობა თითო კლასი მოემატოს პირველ დაწყებით ნორმალურ რკინის გზის სასწავლებლებს, რომ ნაწილი მოსწავლეებისა მაინც დაკმაყოფილდეს. რკინის გზის მოწაფეების მშობლებმა ითხოვეს ქართული ენის შამოღება ამ სასწავლებელში, რადგან დღიდან დაარსებისა ქართულის ჰქანებაა არაა იქა, თუმცა მოწაფეები თითქმის ყველა ქართველები არიან. ვნახოთ მიაქცევენ რკინის გზის უფროსი და დირექტორი ამ საბუთიან თხოვნას ყურად-ღებას თუარა?

სასწავლებლები მიუცილებლად უნდა მომატოს სამერმისოდ, თორემ რაც დრო გადის, უფრო სჭირს სწავლა.

საქონლის ჭირმა აქეთკენ გაიარა და ამ ხანად აძლევენ ნებას აქვე სოფლებში ხარების ურემში შებმისას.

ეფრემ მცირე.

## დაბა-სოფლები

ს. ბეკამი. გასულ მარიამობისთვეს მოვიდა ინსპექტორი, აქაური სკოლის საქმის გამოსარკვევათ, რადგან ხალხსა და მასწავლებელთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა სოფელზე დაკისრებული ბინის ქირა, რომელიც შეუძლებლობის გამო ვერ იხდიდენ და მასწავლებლებიც ვერ კისრულობდნენ თავიანთი ჯამაგირის სიმცირის გამო. ხალხმა თხოვნით მიმართა ინსპექტორს, რომ დახმარება აღმოეჩინა ბინის ქირაზე ომის გათავებამდის, მაგრამ უარი მიიღო: მაგისთანა განკარგულება არ არისო, ამის გამო ერთი განყოფილება დაიხურა, ოთახი კი მასწავლებელს ბინად მიეცა, ორი მასწავლებლის ნაცვლად იმყოფება ერთი მასწავლებელი. რასაკვირველია, მოწაფეების რიცხვიც შემცირდა, მსურველნი თუმცა ბევრნი არიან, მაგრამ შეუძლებელი იქნა ყველას მიღება, რადგან ვერც სამოსწავლო ოთახი დაიტევს და ვერც ერთი მასწავლებელი გასწვდება და ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ძველი მასწავლებლების მაგივრათ გამოგზავნეს ახალი მა წავლებელი კაცი. სწავლა დაიწყო 22 ენკენისთვეს, ახალი მასწავლებლით დიდათ კმაყოფილნი არია. სასწავლებელი არის შემკული კარგა მოზრდილი ეზო-გარემოთი, სივრცით 1 დესეტინამდეა, რომლის დამუშავებაც დიდათ ხელსაყრელი არის სასწავლებლისათვის. ვგონებ მასწავლებელიც უნარ მოკლებული არ უნდა იყვეს ამ საქმეში და როგორც გადმომცეს ალუთქვამს კიდეც ამ საქმის სისრულეში მოყვანა. მთავრობას უნდა ეთხოვოს, როგორც წინად თვით მთავრობამ შელობა, ისე ეხლაც მთავრობამ იკისროს, მით უმეტეს ყოფილი ინსპექტორი იყო დაპირებული ეზოს შემოგილობავთო, მაგრამ დარჩა შეუსრულებელი. დღეს იმედია მისი მოადგილე მოიყვანს სისრულეში ამ დანაპირებს.

მხედარი.

## ს. იაშვილი

(„მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველობისა“

57. მე-47 გვ. ქვ. მე-14 და შემდეგ სტრიქონებში უცნაურად არის ახსნილი თუ აღწერილი ქვანახშირის წარმოშობა: „ჭაობის, ზღვისა და ტბის ძირში ჩამარხული ხე-ტყე არ იხრწნებოდა, არა ლპებოდა; რადგან იქ ჰაერი ვერ ჩადიოდა, ხოლო უჰაეროდ ლპობა ბუნებაში არ შეიძლება. ამოდენა სიღრმეზედ ხე-ტყე სახეს იცვლიდა, შავდებოდა და ნახშირდებოდა“. ყოველი ადამიანი იკითხავს: რა არის მიზეზი, ხე-ტყე სახეს რად იცვლიდა, რად შავდებოდა და ნახშირდებოდა? ან განა ხე-ტყე უნდა გაშავდეს, რომ დანახშირდეს? უპირველეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ დანახშირებაც, ხრწნობაც და ლპობაც იგივე ჩვეულებრივი წვაა, ხოლო სხვა და სხვა გარემოებაში, სხვა და სხვა ვითარებით მოხდენილი. თუ ჰაერი (მჟავბადი) ბევრია და სითბოც დიდია, მაშინ ჩვეულებრივი წვა ხდება; თუ ჰაერი (მჟავბადი) ბევრია, ხოლო სითბო ნაკლები (განსაკუთრებით თუ სინოტივეც ხელს უწყობს) მაშინ ჩვეულებრივი ხრწნა ან ლპობა ხდება; ხოლო, როდესაც ჰაერი დახშულია, თითქმის სრულებით არ მოიპოვება, მაშინ ხდება დანახშირება. დანახშირების ვითარების სისწრაფე დამოკიდებულია სითბოს რაოდენობაზედ: თუ დიდია სითბო, დანახშირებაც ძსწრაფლ მიმდინარეობს (ჩვეულებრივი ხის ნახშირის გამოწვა). ხოლო თუ პატარაა სითბო, მაშინ დანახშირებას მეტი დრო სჭირდება (დაქვანახშირება მრავალ საუკუნოებს ჰსაჭიროებს). ზევით მოვიხსენიე, რომ დანახშირებაც იგივე წვაა. როგორა ხდება ხის წვა ბუნებაში დანახშირების დროს უჰაეროდ, ე. ი. უმჟავბადოდ? ხის ნივთიერება შესდგება უმთავრესად ნახშირბადისაგან, წყალბადისაგან და მჟავბადისაგან; აი სწორედ ეს მჟავბადია, რომელიც ხეს ანახშირებს; რადგან ეს მჟავბადი ხეში განსაზღვრული რაოდენობისაა, იგი ვერ ახერხებს ხის სავსებით დაწვას: აცლის ხეს მხოლოდ წყალბადს სავსებით (თითქმის) და პატარა ნაწილს ნახშირბადისას, დიდი ნაწილი ნახშირბადისა კი (ზოგიერთ დარჩენილ ხის შემადგენელ ნაწილებთან ერთად) **ქვანახშირდება და ამიტომ შავდება.**

58. მე-53 გვ. ზემ. მე-2—3 სტრიქონებში სწერია: ლითონის შეერთებას ბუნების სხვა-და-სხვა სხეულთან, არა ლითონთან, მადანი ეწოდება“.—ასეთი განმარტება სიტყვა „მადანი“-სა, ვგონებ, შემცდარია. ამისი განმარტება უკვე ზევითა გვქონდა (შეადარეთ წიგნის მე-32 გვ. ქვ. მე-12—9 სტრ.).

59) მე-53 გვ. უკანასკნელ სტრიქონში ნახმარია „რკინის კოლჩედნი“ „კოლჩედანის“ შემოღება არც საჭიროა და არც სასურველი: არ არის ქართული, არ არის საერთაშორისო, არ არის აზრის მისახვედრი, არ არის მოკლე სიტყვა; უკეთესი იქნება ვსთქვათ: „რკინაგოგირდი“ ან სხვაფრივ, უკეთესად.

60. მე-55 გვ. ზემ. მე-4 და შემდეგ სტრიქონებში სწერია: „წაბლის ფერი რკინაც ჟანგივით რკინისა, მჟავბადისაგან და წყალმბადისაგან შესდგება... ამ მადნიდან რკინას არ გამოადნობენ ხოლმე, რადგან გოგირდის მოცილება, მოშორება რკინისაგან მეტად ძნელია... რკინას მარტო მჟავბადიან მადნებიდან, ე. ი. ანდამატის, წითელის და წაბლისფერ რკინისაგან გამოადნობენ ხოლმე“.—რომელი ერთია აქ მართალი, პირველი თუ მეორე? ან წაბლისფერ რკინაში ურევია გოგირდი თუ არა?

61. მე-56 გვ. ზემ. მე-3 და შემდეგ „ნახშირის კარგად გასაღვივებლად ქვემოდან, ღუმელის ნახვრეტებიდან ცხელს ჰაერს განსაკუთრებულ მანქანებით უბერავენ. ამნაირად ნახშირი იწვის და მადანს მჟავბადს აცლის. ნახშირი უერთდება მადნის მჟავბადს..“ მეტი სიტყვების გამოკლებით: „ნახშირის გასაღვივებლად... ჰაერს უბერავენ... ნახშირი იწვის“—ამ სიტყვების მიხედვით ნახშირი ჰაერისგან იწვის; ხოლო თუ ეს ასეა, მადანს როგორღა აცლის ნახშირი მჟავბადს, როგორღა უერთდება ნახშირი მადნის მჟავბადს? ყოველივე ამას უკეთესი განმარტება ესაჭიროება და ისე დატოვება, როგორც ეს წიგნშია, შეუწყნარებელია.

62. იმავ გვ. ზემ. მე-8 სტრ. „რკინა მჟავბადის მაგივრად ნახშირს უერთდება და ასე გარდიქმნება თუჯათ“. ეს წინადადება ისე მოკლედ და მტკიცედ არის ნათქვამი, თითქოს რკინის ნახშირთან შეერთება სულ სხვა რამ ახალი სხეული იყოს და არა თითქმის იგივე რკინა (ან ფოლადი). თუმცა ჩვენ აქ მართლა რკინის და ნახშირის შეერთებასთანა გვაქვს საქმე, მაინც უკეთესი იქნება საქმის სირთულის გამო ბავშვებს აუხსნათ, რომ რკინის გამოდნობის დროს რკინაში გახსნილი ნახშირი (ცოტათი რკინაშივე რჩება და ამიტომ პირველად გამოდნობის შემდეგ წმინდა რკინის ნაცვლად ჯერ ნახშირნარევრკინას, თუჯს, მივიღებთ ხოლმე—ამ გვარ განმარტების შემდეგ უფრო გასაგები გახდება მკითხველისათვის, თუ რათ იწყება ქვ. მე-4 სტ. სიტყვებით: „წმინდა რკინა რომ გამოვიდეს...“

63. მე-57 გვ. ზემ. მე-6 სტრ. სწერია: „ფოლადი იგივე რკინაა, მხოლოდ ნახშირ ნარევია“.—თუჯიც ხომ იგივ რკინაა ნახშირ ნარევი. განსხვავება ამ შემთხვევაში მხოლოდ ნახშირის სხვა და სხვა რაოდენობით არის გამოწვეული და აი სწორედ ამაზედ უნდა იყოს მითითებული. სქემატიურად იყოს ნათქვამი: რკინაში თითქმის სულ არ არის ნახშირი ($^1/_2$%), ფოლადში შეიძლება $^1/_2$%-დან თითქმის 2%-დე ნახშირი იყოს, ხოლო თუჯი დაახლოვებით 2—7% ნახშირს შეიცავს.

64. მე-58 გვ. ზემ. მე-6 სტრ. ნახმარი სიტყვა „კოლჩედანი“ უნდა შეიცვალოს იმავე მოსაზრებით, როგორც მე-53 გვ უკანასკნელ სტრიქონში.

65. მე-59 გვ. ზემ. მე-12 სტრ. უცხო სიტყვა „ლატუნის“ ხმარებას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს.

66. მე-62 გვ. სურათ. 39-ის წარწერა (და ტექსტშიც) „ვაშგერდი“ უნდა შესწორდეს „ვაშჰერდ“-ად ანუ ოქროს სარეცხ(ავ)ი.

67. მე-65 გვ. უკანასკნელ სტრიქონში სწერია: „დედამიწა ხომ რამდენიმე ათასი წელიწადი არსებობს“... დედამიწის არსებობა რამდენიმე ათასი წლით კი არ განისაზღვრება, არამედ აურაცხელ მილიონ წლობით ირიცხვება.

68. მე-67 გვ. ქვემ. მე-11 სტრ. და სხვაგან სიტყვა „ჰელჰოლანდი“ უნდა შესწორდეს „ჰელგოლანდ“-ათ.

69. მე-69 გვ. ზემ. მე-8 სტრ. კარგი იქნება დაემატოს: „პარუშოვიცში, მაგალ.: თითქმის 70°-აც ახწევს“.

70. ამავე გვ. ზემ. მე-16 სტრ. სიმართლისათვის კარგი იქნება ჩამატებული იყოს, რომ ნამდვილი რაოდენობა სიცხისა დედამიწის გულში გაცილებით ნაკლებია 15000°-ზედ. ან საიდან მიიღო ავტორმა ეს 15000°? თუ მიწის ქერქს 150 ვერსის (წიგნში აღნიშნული) დაბლა ავტორი დედამიწის გულს ეძახის, ამ სიღრმეში, ავტორის ანგარიშის მიხედვით, 5000° სიცხე უნდა არსებობდეს. ხოლო თუ ბ-ნი იაშვილი დედამიწის ნამდვილ გულამდე 6000 ვერსს ანგარიშობს (მე-32 გვ. დედამიწის სიგანე 12000 ვერსად არის ნაანგარიშები) მაშინ ამ გულში იმავ ანგარიშის მიხედვით 200000° სიცხე უნდა ჰსუფევდეს. მაგრამ არამც თუ ეს უშველებელი სიცხე, არამედ 5000°-იც ისეთი სიცხეა, რომ ბევრი მეცნიერის აზრით მზეზედაც კი არ მოიპოვება იგი, არამთუ დედამიწის გულში.

71. იმავე გვ. ბოლოდან მე-3 სტრ. სიტყვა „ჰეიზერი“ უნდა შეიცვალოს „გაიზირ“-ად.

72. მე-70 გვ. სურ. 41. ამ სურათის წარწერა არ შეეფერება სურათს. განა აქ მხოლოდ „მიწის გული“-ა გამოსახული? ამას გარდა ნეტა რას უნდა წარმოადგენდეს ჰაერის ზოლის შემდეგი თეთრი სარტყელი? ასეთი რამ არსად არაფერი არ არსებობს—და აკი ავტორსაც ვერც სახელი გამოუნახია.

73. მე-72 გვ. ქვ. მე-15 სტრ. ვგონებ უკეთესია ვსთქვათ: „ვულკანი ყუჩდება“, გაყუჩებული ვულკანი“, ვიდრე „ვულკანი ჰქრება“ ან „ჩამქრალი ვულკანი“.—ამას გარდა, კარგი იქნებოდა ვულკანების მოგონებაზედ კლასიკური ვულკანი „ვეზუვი“-ც დაესახელებინა.

74. მე-74. მე-76 გვ. ზემ. მე-15 და შემდეგ სტრიქონებში სწერია: „საფრანგეთის ჩრდილო ნაპირებზედ 2000 წლის წინად ზღვის პირიდან 40 ვერსის მოშორებით იყო აშენებული მთავარანგელოზ მიხეილის მონასტერი“—ნუ თუ მაშინ ასეთი მონასტერი შესაძლებელი იყო სადმე?

75. იმავ გვერდზედ ქვ. მე-6—4 სტრ. სწერია: „ზოგი მისი (დედამიწის ქერქისა) ნაწილი წყლით იფარება, ზოგი წყლიდან მაღლა ამოდის, ხმელეთად ქცეული“—დედამიწის ქერქი წყლის ძირში კი არ იქცევა ხმელეთად და ისე ამოდის წყლის პირზედ, არამედ მაშინ იქცევა ხმელეთად დედამიწის ქერქი, როდესაც იგი წყლიდან მაღლა ამოვა, გაშრება, „გახმება“,—ეს რასაკვირველია ყველამ იცის და მით უმეტეს ავტორმაც.

76. მე-79 გვ. ქვ. მე-3 სტრ. დაწერილი „სპირტის ლამპა“ უნდა შეიცვალოს „სპირტის ქურა“-დ: „ლამპა“ სანათია, ხოლო „ქურა“—სათბობი.

77. მე-80 გვ. ქვ. მე-3 და 2 სტრ. სწერია: „სპილენძის კრიალა“, „ტყვია კრიალა“.—ორივე სახელი ერთნაირად უნდა იყვეს შედგენილი. „ტყვია კრიალა“ სჯობია; მაშასადამე—„სპილენძ კრიალა“. დაბოლოს უნდა შეინიშნოს, რომ წიგნში ყველა შეცდომა არ არის გასწორებული, მაგ.: თუთა—თუთია, გზა—გაზი, გრაფტი—გრაფიტი, შტატვი—სტატივი, ცალიერი—ცარიელი, გადმოვაპირქვავოთ—გადმოვაპირქვევოთ და სხვ.

მ. შალამბერიძე.

(დასასრული იქნება)

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გაახლებთ 190 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობას. ეს ფული შევაგროვე სოფელ ზივინში (ყოფილი ოსმალეთი), დროებით მცხოვრებ ქართველთა შორის. სია შემომწირველთა: ვარაზაშვილი ივანე **25** მან. ვარაზაშვილი გიორგი 15 მ. თუმანიშვილი ვლად. ალექ. 15 მ. დოდელია სილიბისტრო ივან. 10 მ. გაბრიელ ტერ. მანასიანცი 10 მ. ჯანელიძე ბაგრატი 10 მ. თ-დ აბაშიძე გრიშა დავ. ძე 5 მ. მიროტაძე დარისპან იაგორის ძე 5 მ. თ-დ ბარათაშვილი მიხაკო სპირიდონის ძე 5 მ. ბალანჩივაძე გიორგი 5 მ. კუტუკოვი ვასილი პეტრეს ძე 5 მ. კეკელიძე ბართლომე 5 მ. სარქისოვი იოსებ 5მ. თდ. ბაგრატიონ დავითიშვილი კოტე 5 მ. თ-დ ბაგრატიონ დავითიშვილი გოგინა 5 მ. თ-დ ბაგრატიონ დავითიშვილი ადამ 3 მ. ჩაჩავა არხიპოზ 3 მ. სადიკაევი ნიკ. 3 მ. ჯულაბოვი პეტრე 3 მ. თ-დ აბაშიძე დავ. გრიგ. 3 მ. რჩეულიშვილი ვანო 3 მ. თ-დ ავალიშვილი პეტრე 3 მ. ციმაკურიძე ვასო 3 მ. ბრელიძე ლევან 2 მ. მეძმარიაშვილი შალვა 2 მ. გამყრელიძე გიორგი 2 მ. მიროტაძე ლადო კონსტ. 2 მ. მკერვალიშვილი გრიშა მოსეს ძე 2 მ. იაკობაშვილი ავქსენტი ისიდ. 2 მ. ლარხანოვი კონსტ. 2 მ. გურგენიძე მიშა 2 მ. ქადაგიძე ვლადიმერ 2 მ. თ-დ ბაგრატიონ დავითიშვილი 1 მ. ქუთათელაძე ონისიმე თედორეს ძე 1 მ. ტოტროვი ბორისი 1 მ. ბრელიძე ნიკო 1 მ. თ-დ ამირეჯიბი სიკო 2 მ. მაჭავარიანი პეტრე დავ. 2 მ იოსელიანი ტარასი 5 მ. [illegible] 4 მანეთი. ალოევი [illegible]

ყველა ზემოხსენებული ქართველნი დიდი სიამოვნებით შეეგებნენ ჩემს წინადადებას, რომ გამოეღოთ თავისი წვლილი ზემოხსენებული ბიბლიოთეკისათვის და აღმითქვეს, რომ არც შემდეგში მოაკლებენ თვის დახმარებას. მადლობას ვსწირავთ ყველა მათ ასეთი შემოწირულებისათვის. განსაკუთრებით დიდ მადლობას **მოვახსენებ** ბ.ბ. ვლადიმერ თუმანიშვილს და ლევან ბრელიძეს, რომლებიც **დამეხმარენ** ფულის შეგროვებაში.

ამასთანავე არ შემიძლიან არ დავსძინო, რომ დიდი მადლობის ღირსია ყველა ჩვენ ზემოხსენებულ პირთაგან ბატონი ივანე ვარაზაშვილი, ერზერუმის რკ ნის გზის კონტრ-აგენტი, რომელიც ხუთი-ათასზე მეტს ქართველ მუშას ამუშავებს ნამდვილი მამობრივი მზრუნველობით და პატრონობით და რომლის კანტორაში შეიკრიბა ზემოხსენებული თანხა*).

პატივისცემით ქვიშხეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობის წევრი

**ლევან ციმაკურიძე.**

*) ზემოხსენებული **ფული 190 მან.** გარდაეცა ნინო ყიფიანს. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | საღ. |

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**უშვილესთვის ხელმისაწვდომ ფასშ**

## საკუთარი ტყიდან

**ხაწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაიდლოვის-ზყძის, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ყმეშომის“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯ და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.